ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 19 (24)

11 XI 1990

## საქართველოს სახალხო ფრონტი ულოცავს ქართველ ერს მრავალპარტიულ არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვებას!



სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული,,,

ნოდარ ნათაძე

### გზაჯვარედინები...

მე-2 გვ.

### „გორბაჩოვი" საბრალდებო სკამზე

მე-5 გვ.

ნოდარ გრიგალაშვილი

### მე ვწერ აკადემიკოს დედაკაცზე

მე-4-5 გვ.

ლევან სანიკიძე

### რა აზრით მოვასვენებთ ნეშთსა მეფისა სოლომონისასა- საქართველოდან საქართველოში?!

მე-6 გვ.

### რუსეთი — უცხო ფორმალობის ქვეყანა

მე-7 გვ.

ალექსანდრე ფრონელი

### ვისი შვილი იყო შამილი?

მე-8 გვ.

**გამარჯვებას გილოცავთ თანამემამულეებო!**



## ნოდარ ნათაძე

# გზაჯვარედინები...

### 28 ოქტომბრის არჩევნები და საქართველოს უშუალო პერსპექტივები

28 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა საქართველოს მთელ მოსახლეობასთან ერთად დიდი ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯი გადადგა: მან საქართველოს უზენაესი სახელმწიფო ხელისუფლების არჩევნებში ხმა მისცა არა იმას, ვისაც ხელისუფლება ეპყრა, არამედ იმას, ვინც თვითონ მოისურვა. აირჩია, ძირითადად, „მრგვალი მაგიდის" ბლოკი ზ. გამსახურდიას მეთაურობით. დაახლოებით ერთი მესამედი ადგილებისა დაიკავეს კომპარტიის წევრებმა. 69 ადგილისათვის ბრძოლა გრძელდება.

რა მოჰყვება ამ ნაბიჯს? და, პირველ ყოვლისა, როგორ უნდა შეფასდეს ეს ნაბიჯი, რომლის შედეგადაც ჩვენ მივიღეთ ეროვნული უზენაესი ორგანო ფაქტობრივად ერთპარტიული არაკომუნისტური უმრავლესობით? ამ კითხვათა პასუხს ბევრი ეძებს. ამასთან ერთად ეძებს მრავლისთვის და მრავლისათვის უფრო საჭოჭმანო კითხვის პასუხსაც: გვინდოდა კი მრავალპარტიულობა ეროვნულ ძალებში? გვჭირდებოდა კი იგი? გვჭირდება კი იგი მომავალში? არის თუ არა მრავალპარტიულობა მართლაც **ძალა** იმ უმძიმესსა და ურთულეს ბრძოლაში, რომელიც საქართველოს წინ აქვს? ერთი ყველამ ვიცით: ეროვნული ტკივილები დღეს ჩვენთვის სოციალურზე უფრო მწვავეა, რაც უნდა ტრაგიკული იყოს ეს უკანასკნელი, ვინაიდან ჩვენთვის, ქართველებისათვის, სოციალური უკუღმართობა ეროვნული მონობის შედეგია და არა პირიქუ. ეს ვიცით. მაგრამ რა პრაქტიკული დასკვნა უნდა მოვაყოლოთ ამას ჩვენი ძირეული პოლიტიკური ორიენტაციისთვის დღეს? რაში ვეძებოთ ჩვენი გამომხსნელი ძალა — ერთპარტიულობის აზრით გაგებულ მონოლითურობაში თუ ტრადიციის დემოკრატიაში, რომელიც ადამიანს თავისი ძალების გამოვლენისა და მოხმარების ყველაზე უკეთეს შესაძლებლობას აძლევს? ამ კითხვათა პასუხი ყველასთვის ერთი არ არის და რაც მალე გავითვალისწინებთ თვით **პრობლემას** მთელი მისი სიმწვავით, მით უკეთესი იქნება.

დემოკრატიის და არადემოკრატიის ურთიერთმიმართებას, სხვა მრავალ განზომილებასთან ერთად, ორი ძირითადი განზომილებაც აქვს.

**პირველი:** რამდენად დამოუკიდებელია პიროვნება სახელმწიფოსაგან? რამდენად აქვს მას სიტყვის თავისუფლება, ხელშეუხებლობის გარანტია, გადაადგილების თავისუფლება და სხვა ამგვარი, რასაც დღეს „ადამიანის უფლებათა" ცნება აერთიანებს?

**მეორე:** რამდენად შეუძლია მოქალაქეს მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მართვაში?

იმის თქმა, რომ მოქალაქე ამ მეორე უფლებას საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობით ახორციელებს, ცხადია, ვითარების არასრული დახასიათება იქნება. თავის გავლენას პოლიტიკაზე მოქალაქე მხოლოდ იმით როდი ახორციელებს, რომ პარლამენტში **გზავნის** ვიღაცას (თავის დეპუტატს), რომელსაც გადაწყვეტილებების მიღებას ავალებს, ან რომ იგი ირჩევს ერთ-ერთს არსებულ პარტიულ პროგრამათა შორის. მთავარი ისაა, რომ მოქალაქე — **თუკი იგი მართლაც პოლიტიზირებულია,** ანუ მართლაც ჩაბმულია პოლიტიკურ ცხოვრებაში, — **თვითონ** ადგენს თავის პროგრამას, თუ რა გზით უნდა იაროს სახელმწიფომ, და **თვითონ** ეძებს თანამოაზრეებს, რათა ამ პროგრამის განხორციელებაში ისინი მოკავშირეებად გაიხადოს. თანამოაზრე მოქალაქეები **თვითონ** ქმნიან თავისი პროგრამის ხორცშესხმისათვის მოწოდებულ პოლიტიკურ ჯგუფებს, რომელთა გარემოშიც მხარდამჭერთა, ხელშემწყობთა, თანამგრძნობთა, საბოლოო ჯამში კი — ამომრჩეველთა საკუთარი წრეები იკვრება. რა თქმა უნდა, ყველა მოქალაქე **დამოუკიდებლად** არ იქმნის თავის შეხედულებებს პოლიტიკაზე (იგი სხვათა გავლენასაც განიცდის) და მხოლოდ თავისით არ ადგენს იმ პოლიტიკურ ჯგუფს, რომელშიც შედის (ამას იგი სხვებთან ერთად, ურთიერთშეწყობითა და ურთიერთწახალისებით აკეთებს). მაგრამ მას, ჯამში, მაინც **თავისი** პროგრამა აქვს და, ჯამში, ამ თავისი პროგრამის რეალიზაციას ცდილობს მეტ-ნაკლები აქტიურობით.

დიდი ხანია, კაცობრიობისათვის პრაქტიკულად არის ცნობილი პოლიტიკაში მოქალაქის ამგვარი მონაწილეობის, ანუ, რაც იგივეა, **დემოკრატიის** მინუსებიცა და პლუსებიც. მინუსი დიდი არა აქვს და იგი მდგომარეობს იმაში, რომ ზემოხსენებული პოლიტიკური ჯგუფები ერთი „მუშტი" არ არიან, რის გამოც შესაძლოა (მაგრამ აუცილებელიც არ არის), რომ მათმა განსხვავებულმა ინტერესებმა მათი ძალების ერთი ნაწილი ურთიერთბრძოლაში დააბანდონ. თუ საზოგადოებაში მართლაც ინტერესთა დიდი დაპირისპირება არსებობს, მაშინ შესაძლოა ამგვარ მრავალპარტიულ დემოკრატიას ძალების დიდი ფლანგვა მოჰყვეს. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი ამ პოლიტიკურ ჯგუფებსა თუ პარტიებს მნიშვნელოვანი **საერთო მიზნები** აქვთ (როგორც მაგალითად, დღეს მთელი საქართველოსთვის საერთო მიზანია თავისუფლება), მაშინ ისინი შეძლებენ ამ განსხვავებული ინტერესების გვერდზე გადადებას და ერთობლივ მოქმედებას ერთობლივი მიზნის რეალიზაციისათვის. რაც შეეხება ზემოხსენებული მრავალპარტიულობის პლუსს, იგი განუზომელია. მრავალპარტიული დემოკრატიის უპირატესობა ის გახლავთ, რომ კაცი, რომელიც თავის პოლიტიკურ მიზნებს **თავისით** ადგენს, განუზომლად უფრო აქტიური და ძლიერია თავის პოლიტიკურ მოქმედებაში, ვიდრე ის, ვისაც თავისი ეს პროგრამა თავისით არ შეუქმნია და სახელმწიფოს სავალი გზის გეგმა თავისით არ დაუსახავს. თავისი პოლიტიკური შესაძლებლობების მაქსიმუმს ადამიანი სწორედ ამგვარ, თავისუფალ ვითარებაში აღწევს და ამიტომაცაა, რომ დემოკრატია **ძალაა.** ზემოაღწერილი გზით შემდგარი პოლიტიკური ჯგუფი უფრო ძლიერია, ვიდრე საკუთარი პოლიტიკური აქტივობის გარეშე შემდგარი ჯგუფი, მარტოოდენ თანამგრძნობთა ანუ მარტოოდენ „ამომრჩეველთა" ჯგუფი.

ამგვარი დემოკრატიის დროს შეუძლებელია ასარჩევი უმაღლესი ორგანოს ერთპარტიულობა (სხვა თუ არაფერი, იმ უბრალო მიზეზის გამო მაინც, რომ შეუძლებელია თვით ამომრჩევი მასის ერთპარტიულობა): თუ ისე მოხდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მთელმა საზოგადოებამ ერთი პარტიის სულისკვეთება გაიზიარა, ამას დაუყოვნებლივ მოჰყვება ამ მასის კიდევ ახალ პარტიებად დაყოფა, რაც ამ პარტიას მტრებად კი არ დაშლის, არამედ თანამშრომლობის უნარის მქონე შეგნებულ პოლიტიკურ ჯგუფებად.

ჩვენმა არჩევნებმა, როგორც ვიცით, ფაქტობრივად ერთპარტიული არაკომუნისტური უმრავლესობა შექმნა. ამომრჩეველმა სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფი კი არ მიიყვანა საპარლამენტო ხელისუფლებასთან, არამედ ერთი ლიდერის (ზ. გამსახურდიას) გარშემო შემოკრებილ ერთ ჯგუფს — „მრგვალი მაგიდის" ბლოკს გადასცა ხელისუფლება. ზუსტად რომ ვთქვათ, ამომრჩეველმა ხელისუფლება ერთ, არასანდო ხელს გამოართვა და მეორე, მისი აზრით სანდო ხელს გადააბარა.

არჩევნები რომ სწორედ ასე წარიმართა და არა სხვაგვარად, ალბათ შემთხვევითი არ არის. ამგვარ არჩევნებს საფუძვლად ედო თვით პოლიტიკური აქტივობის მდგომარეობა საქართველოში დღეს. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელიც საქართველოში ამ სამი წლის მანძილზე გაიშალა, მოსახლეობის ძალიან დიდი მასა, სამწუხაროდ, მხოლოდ მაყურებელი და გულშემატკივარი იყო, ბევრი-ბევრი — მიტინგის მონაწილე, მაგრამ იგი არ იყო პოლიტიკის დამგეგმავი, განთავისუფლების კონკრეტული გზის მაძიებელი, ორგანიზატორი ან ორგანიზაციის წევრი. ამას, რა თქმა უნდა, კრიტიკული აზრით არ ვამბობ. იმ მიწაზე გართხმულ მდგომარეობიდან გამოსვლა, რომელშიც ჩვენ აქამდე ვიყავით და ნაწილობრივ ახლაც ვართ, გმირობაა. მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ სწორედ ჩვენი მდგომარეობის ეს სპეციფიკაა ის, რაც არჩევნებში აისახა. ამომრჩეველმა გამოთქვა **ნდობა.** მაგრამ იგი **თავისი** საკუთარი პროგრამითა და გეგმით არ ჩარეულა მიმდინარე პოლიტიკაში, მას **თავისი** ამ გეგმის განხორციელება **თავისი** პარტიებისათვის არ დაუვალებია. ამომრჩეველი იმდენად პოლიტიზირებული აღმოჩნდა, რომ არჩევნებში მონაწილე პარტიათაგან ერთი (ბლოკი „მრგვალი მაგიდა") აირჩია. მაგრამ იმდენად პოლიტიზირებული კი ვერ აღმოჩნდა, რომ მიმდინარე პოლიტიკაში ინიციატორის როლი ეთამაშა.

იმის განსასხვავებლად, ამომრჩეველი მართლაც მხოლოდ ამომრჩეველია, თუ ამასთან ერთად პოლიტიკაში აქტიურად ჩაბმული ინიციატორი — მოქალაქეც, სავსებით ობიექტური საზომი არსებობს. თუ ამომრჩეველი ამბობს, „ჩემს მიერ მოწონებულ ლიდერს ესა და ეს ნაბიჯი ამიტომ და ამიტომ აქვს გადაწყვეტილიო, მაშინ იგი მართლაც პოლიტიკის აქტიურად მონაწილე ინიციატორი მოქალაქეა. ხოლო თუ იგი ამბობს „ბელადი ჭკვიანია და ამა და ამ ნაბიჯს თუ დგამს, მაშ ამის საფუძველიც ჰქონიაო", მაშინ იგი მხოლოდ ამომრჩეველია და მისი პოლიტიკური მოქმედების ძალაც დემოკრატიის მონაწილისას ვერ გაუტოლდება.

ჩვენი არა მარტო რწმენაა, არამედ — თამამად შემიძლია ვთქვა — ნათელი ცოდნაცაა, რომ ქართველი ხალხის ძალიან დიდი მასა, რომელიც ჯერ აქტიურად, თავისი **ინიციატივით** არ არის ჩაბმული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მალე ჩაებმება. ეს ადამიანები არც გულგრილნი არიან და არც თვლემენ. მათ თავისი გადაწყვეტილება, რომ მოძრაობაში სრული თავდადებით ჩაებან, ფსიქოლოგიურად **უკვე** მიღებული აქვთ და გადაუწყვეტელი ისღა რჩებათ, სახელდობრ როგორ, ვისთან ერთად და რა ხაზით იმოქმედონ; ვინაიდან იციან, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება, რეალურად, ცხოვრებაში ერთხელ ხდება, ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არა თუ ახალ ადამიანებს ელის, არამედ ადამიანთა ახალ ტიპსაც, ან ტიპებსაც, იმ სულიერი წყობის პიროვნებათა გარდა, რომლებიც უკვე მოძრაობაში ჩართულნი ვართ. იმ ყაიდის ძლიერი დემოკრატიის შექმნა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ და რომელიც ჰაერივით გვჭირდება, როგორც ჩანს, სწორედ ამ ახლების ხელით უნდა მოხდეს.

საქართველოს ისტორიული ტრადიცია დემოკრატიის ტრადიციაა. თვით ქართული ფეოდალიზმიც კი, ვითარცა ნამდვილი ფეოდალიზმი (რუსეთისა და აღმოსავლეთ ქვეყნების სანახევრო ფეოდალიზმისაგან განსხვავებით) **დემოკრატიული** იყო. კარგი იყო ეს თუ ცუდი, ფაქტია, რომ ცენტრალური ხელისუფლებისა და ფეოდალური ფენის ურთიერთობაში მუდამ იგულისხმებოდა, რომ მათი ერთობლივი სახელმწიფოებრივი მოქმედება მათი **ერთობლივი** ნების შედეგი იყო. საქართველოს მთიანეთის თემობა სამხედრო დემოკრატიის გამოკვეთილი ნიმუში იყო. ასე რომ, თუნდ ისტორიულ ტრადიციას მივყვეთ და თუნდ ჩვენს ახალ ტრადიციას რევოლუციამდე, შეგვიძლია ცალსახად ვთქვათ: საქართველოს პერსპექტივა მხოლოდ დემოკრატიის პერსპექტივაა. და არა კომუნისტური ან სხვა რამ ტიპის უკრიტიკო „ერთსულოვნებისა" ამა თუ იმ პიროვნებების ან ამა თუ იმ ლოზუნგების სამსახურში.

მაგრამ, მოგეხსენებათ, ეშმაკს არ სძინავს, და ამიტომ დღეს გვმართებს დემოკრატიულ პერსპექტივასთან ერთად საპირისპირო შესაძლებლობაც განვიხილოთ თეორიულად მაინც.

ჩვენი ქვეყნის წინაშე, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნის, პირველ ყოვლისა კი — ეროვნული უღლისაგან თავის დახსნის მაძიებელი ქვეყნის წინაშე ყოველთვის დგას ერთის მხრივ დემოკრატიას და მეორეს მხრივ არადემოკრატიულ „დისციპლინას", „ერთ მუშტად შეკვრას" შორის არჩევანის პრობლემა. ქვემოთ ვიტყვით და შევეცდებით დავასაბუთოთ კიდეც, რომ ეს ალტერნატივა ყალბია, მაგრამ ახლა საკითხი ჯერ ცოტა კონკრეტულ პლანში დავსვით.

დემოკრატიის მოპირისპირე, არადემოკრატიული მმართველობის ფორმებია: მონარქია (თუ იგი კონსტიტუციური არ არის), ტირანია, დესპოტია, ოლიგარქია, არისტოკრატია, პლუტოკრატია, პარტოკრატია და **დიქტატურის** სხვა ურაცხელი ნაირსახეობები. ამ უკანასკნელსაც (დიქტატურა), დემოკრატიასავით, თავისი პლუსები და თავისი მინუსები აქვს. პლუსები ვიცით: ესაა საზოგადოების მობილიზებადობა ერთი ხელისუფლების ხელში და საჭირო მიმართულებით მისი მატერიალური და სულიერი რესურსების სწრაფი გადატყორცნის უნარი (აქვე შევნიშნავთ მაინც, რომ არც ეს დიდად გავრცელებული შეხედულებაა სავსებით ზუსტი: ექსტრემალურ პირობებში დემოკრატიული საზოგადოების თვითორგანიზაცია — მაგალითად, მთის ტრადიციულ თემში „ქუდზე კაცის" გამოყვანა ან დემოკრატიული ინგლისის რესურსების მობილიზაცია მეორე მსოფლიო ომის დროს — უფრო ნელი და ნაკლებად ეფექტიანი პროცესები არ გახლავთ, ვიდრე, ვთქვათ, საბჭოთა ეკონომიკის გადაყვანა სამხედრო რელსებზე ან საბჭოთა კავშირის ადამიანთა რესურსების მობილიზაცია სტალინური დიქტატურის მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს). დიქტატურის მინუსებიც ვიცით: ესაა ადამიანის ზემოხსენებულ ადამიანურ უფლებათა შელახვა, ერთის მხრივ, და საზოგადოების ნელი, მაგრამ გარდუვალი* უკუსვლა ეკონომიკურ, სულიერ, კულტურულ და მრავალ სხვა სფეროში, რაც გამოწვეულია რიგითი ადამიანის გაპასიურებით. მეორეს მხრივ, ისტორიამ არაერთხელ დაამტკიცა, რომ რიგითი ადამიანის აქტიურობა (და არა ბელადის აქტიურობა) ის ძირითადი ძრავაა, რომელიც ერის ისტორიულ აღმავლობას განსაზღვრავს, და პირიქუ: რიგითი ადამიანის პასიურობაა ის უპირველესი წყლული, რომელიც მიგვანიშნებს, რომ ერი დაცემის გზაზე დგას. ზემოთ ვთქვით, რომ ალტერნატივა „დემოკრატია თუ დისციპლინა?" ყალბი ალტერნატივაა. ისტორიამ ისიც დაამტკიცა, რომ რეალური დისციპლინა მხოლოდ საქმეში დაინტერესებულთა დისციპლინაა, ამ დაინტერესებაზე და ამ დაინტერესების შეგნებაზე დამყარებული. დისციპლინა საკუთარი ინსტინქტებისა და მოთხოვნილებების ერთი ნაწილის დათმობაა რაღაცა **უფრო არსებითი** მიზნის გამო და სწორედ ამით აიხსნება ისტორიის დიდი გაკვეთილი, რომ ამგვარი არსებითი საერთო ინტერესების გარეშე აგებული დისციპლინა დიდხანს ვერ მუშაობს. ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ჩვენ, ქართველებს მხოლოდ ჩვენს საერთო ინტერესებზე — თავისუფლების, ჩვენი სამშობლოს აღდგენის, ჩვენი და ჩვენი შთამომავლობის გადარჩენის ინტერესებზე დამყარებული დისციპლინა შეიძლება გვქონდეს.

დიქტატურასაც, სამწუხაროდ, ქართველი ხალხის ხსოვნაში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს. სამწუხარო ფაქტია დიქტატურის, როგორც მმართველობის ეფექტიანი ფორმის, **აღიარებაც** არაერთი ჩვენი თანამემამულის მიერ (რაც კერძოდ, სტალინის დიქტატურის ეფექტიანობის ერთგვარ განზოგადებას წარმოადგენს). მაგრამ ამჯერად ამ თემაზე მსჯელობას ვერ გავყვებით. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ არსებით გარემოებას, რომელიც დიქტატურისა და დემოკრატიის პერსპექტივაზე მსჯელობისას უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ. დიქტატურის იმ საყოველთაოდ ცნობილი და გახმაურებული მექანიზმის გარდა, რაც წეღან ვახსენეთ, მას კიდევ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი მექანიზმებიც აქვს. დიქტატურა მხოლოდ იმ შემთხვევაშია ეფექტიანი (რა თქმა უნდა დროებით) და, მაშასადამე, მხოლოდ მაშინაა სიცოცხლისუნარიანიც, როცა მას თავისი მრევლისათვის გამარჯვება მოაქვს, სახელდობრ და კონკრეტულად — საგარეო გამარჯვება. ნაპოლეონმა ბოლო მოუღო რევოლუციური საფრანგეთის სამხედრო დამარცხებათა ნაკადს და ფრანგული იარაღის ძალა ევროპის საზღვრამდე გაიტანა. ამავე დროს მან ევროპაში ახალი საზოგადოება შექმნა, რომელიც სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა მისი დამხობის შემდეგაც. ჰიტლერსაც კი — ისტორიის წინაშე, საბოლოო ჯამში, გამასხარავებულ ჰიტლერს, რომელიც გერმანელმა ხალხმა თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლად დაისვა 1933 წელს, — თავისი ქვეყნისათვის თითქმის სტალინგრადის ბრძოლამდე გამარჯვება გამარჯვებაზე მოჰქონდა. სტალინის დიქტატურამ თავის ქვეყანას — რუსეთს, რომელიც საბჭოთა კავშირის „მე" იყო და არის — სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი შეუქმნა და გერმანიაზე გაამარჯვებინა. თუ დიქტატორმა მასას ვერაფერი მისცა, მას დიქტატორად დიდხანს არ გაიჩერებენ (გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ეს მასა **სხვის** მიერ დაპყრობილი ერია, ანუ ის ჩვენთვის კარგად ცნობილი ვითარებისა, როცა დიქტატურის წყარო სხვა ქვეყანაა, ხოლო დიქტატურის ობიექტი — სხვა). ამგვარად, ამ დღესდღეობით საყოველთაოდ დაგმობილ მოვლენაში, რომელსაც დიქტატურა ჰქვია, თავისებური ლოგიკა ძევს. სრულებით ულოგიკო — და, ამდენად, უსაფუძვლოც და არასიცოცხლის-

(დასასრული მე-6 გვ.)

# აწმყო წარსულში...

**ჩაცხრა** საქართველოს ეროვნულ პარლამენტში ადგილების დასამკვიდრებლად გაჩაღებული ბრძოლის ცეცხლი.

ცნობილია შედეგები.

ცნობილია გამარჯვებულიცა და დამარცხებულიც.

გაიმარჯვა ოპოზიციამ.

დამარცხდა კომუნისტური პარტია.

გაიმარჯვეს იმ ადამიანებმა, რომელთათვისაც საფიცარი ხატია ისეთი „მცირე“ მასშტაბის მოღვაწე, როგორიც იყო... ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

დამარცხდა ის პარტია, რომლის სალოცავ ხატად დღემდე რჩება ისეთი „დიდი“ მასშტაბის მოღვაწე, როგორიც იყო სიმბირსკელი ვალოდია ლენინი...

ეროვნულმა მოძრაობამ გაიმარჯვა, თუმცა სამწუხაროა ის, რომ პარლამენტის გარეთ დარჩა ეროვნული მოძრაობის არა ერთი და ორი საუკეთესო წარმომადგენელი.

კომუნისტური პარტია დამარცხდა, თუმცა სავალალოა ის, რომ ლენინური პარტია საქართველოში მხოლოდ ცალ მუხლზე იქნა წამოჩოქილი.

უმიზეზოდ ქვეყნად არაფერი ხდება.

თავისი მიზეზი აქვს იმას, რომ კომპარტია ბოლომდე არ იქნა განწირული.

თავისი მიზეზი აქვს იმასაც, პარლამენტის გარეთ რომ დარჩა ჩვენი ინტელიგენციის ბევრი ღირსეული წარმომადგენელი.

ჩვენი გაზეთის ახალ რუბრიკაში **„სამწუხარო პარალელები“**, ამ მიზეზების ახსნას ვეცდებით. უფრო სწორად, მკითხველის წინაშე წარმოვაჩენთ სამწუხარო პარალელებს წარსულისა და აწმყოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს შორის. დასკვნების გამოტანა კი თქვენთვის მოგვინდვია. მაშ, ასე,

### პარალელი № 1
### ანუ რატომ მისცა არაქართულმა მოსახლეობამ კომპარტიას ხმა.

ცნობილი გახდა, რომ კომუნისტურმა პარტიამ ხმების დიდი ნაწილი მიიღო საქართველოს არაქართული მოსახლეობისაგან. არადა, არაქართველები, ვთქვათ, ჭეშმარიტი სომხები თუ აზერბაიჯანელები, თავიანთ სამშობლოში — სასომხეთსა და აზერბაიჯანში კომპარტიას ისევე უდგანან ოპოზიციაში, როგორც ამას აკეთებს ქართველთა დიდი ნაწილი საქართველოში.

ერთი სიტყვით, თუ ერევნელი სომეხი ერევანში კომპარტიას ლანძღავს, ახალციხელი სომეხი ახალციხეში კომპარტიას უჭერს მხარს.

თუ ბაქოელი აზერბაიჯანელი ბაქოში კომპარტიას სწყევლის, მარნეულელი აზერბაიჯანელი მარნეულში ამ უკანასკნელს დიდი სიამოვნებით აძლევს ხმას.

რატომ ხდება ეს?

იქნებ საქართველოს კომპარტია სასომხეთისა და აზერბაიჯანის კომპარტიებისაგან განსხვავებით ანგელოზთა საკრებულოა და იმიტომ?

ერთი წუთით, ძვირფასო მკითხველო, ჩვენს წარსულში „გრძელი როქი“ გავაკეთოთ და ვფიქრობ, დღევანდელი სიტუაციაც უფრო ნათლად დაიხატება.

რუსეთის მეფისდროინდელ იმპერიაში არჩევნები ტარდებოდა, მეოთხე სათათბიროს არჩევნები იმ დროს საქართველოში ჯერ კიდევ არ გახლდათ გაფორმებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და ყველაზე დიდ ეროვნულ ძალად სოციალ-ფედერალისტების პარტია ითვლებოდა.

არჩევნების დროს თბილისის გუბერნიაში სოციალ-ფედერალისტები მხარს უჭერდნენ დიდი ქართველი იურისტისა და მოღვაწის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის კანდიდატურას.

ფედერალისტების კონკურენტები ყოველგვარი ეროვნულობისაგან დაცლილი სოციალ-დემოკრატები იყვნენ. არჩევნებში ამ უკანასკნელთ გაიმარჯვეს და ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ნაცვლად თავიანთი კანდიდატურა გაიყვანეს. ეს მათ თბილისის სომეხი მოსახლეობის ხარჯზე მოახერხეს.

ფედერალისტთა პარტიის თავკაცი გიორგი ლასხიშვილი თავის მემუარებში წერს: „ამ გარემოებამ იმ ხანაში დიდი კამათი გამოიწვია ქართულ პრესაში. „სახალხოელები“, — სოციალ-ფედერალისტები, უსაყვედურებდნენ სომეხ ამომრჩევლებს, რომ მათ, წინააღმდეგ თავისი რწმენისა, მხარი დაუჭირეს სოციალ-დემოკრატებს. მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე კანდიდატი, მიმართულებით დემოკრატი და პროგრესისტი — ამავე დროს, ქართველთა ეროვნულ მოთხოვნილებათა დამცველად გამოდიოდა.

შეიქმნა უცნაური სიტუაცია: სომხები თავის ქვეყანაში დეპუტატებად ირჩევდნენ ისეთ პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეთ, რომელთაც ეროვნული საკითხი და ეროვნული საჭიროებანი აინტერესებდათ, ხოლო საქართველოში მხარს უჭერდნენ სოციალ-დემოკრატებს, რომელთათვისაც ეროვნული საკითხი, ყოველ შემთხვევაში, მეორეხარისხოვანი საკითხი იყო...“

დღესაც ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე!..

### პარალელი 2
### ანუ იმ ჩინებულ მოღვაწეთა სანუგეშოდ, ვინც უჩინოთა მიერ იქნა დამარცხებული.

**1906** წელს, როცა სახელმწიფო სათათბირო გაიხსნა, მომდევნო ეტაპად საგუბერნიო არჩევნები ტარდებოდა. საწერეთლოში კენჭს იყრიდა და გაიმარჯვა ვარლამ გელოვანმა.

გელოვანი, კაცმა რომ თქვას, ურიგო ქართველი არ გახლდათ, მაგრამ მისი სახელი და გვარი ახლა მხოლოდ მის უშუალო შთამომავლებს შეიძლება ახსოვდეთ მხოლოდ. არადა, ვისი კონკურენტი იყო და ვინ გაასწორა მიწასთან ამ კაცმა არ გაინტერესებთ? ვინ და, იმდროინდელ საქართველოში ყველაზე პოპულარული კაცი, უგვირგვინო მეფე — აკაკი წერეთელი.

აკაკიმ ორად-ორი ხმა მიიღო, ისიც მეგვარეების, ფრიდონ და ამირინდო წერეთლებისაგან. დანარჩენებმა პირწმინდად გააშავეს.

(ცოტა მოგვიანებით ასეთივე სასტიკი დამარცხება აგემა აკაკის სოციალ-დემოკრატმა ევგენი გეგეჭკორმა)...

განა საკვირველია ამის შემდეგ, რომ ნოდარ ნათაძეს ან თამაზ გამყრელიძეს მეორე ტურში უწევთ ბრძოლა?

განა საკვირველია, რომ აკაკი ბაქრაძე სულაც გამოვთიშეთ ამ ბრძოლებიდან? ჩვენ რა, იმ ქართველების შთამომავლები არა ვართ, რომლებმაც მისი დიდი სეხნია გააწბილეს?

### პარალელი № 3
### ანუ დამოკიდებულება პარლამენტისადმი ძველად და ახლა

ოპოზიციის ერთ-ერთი ფრთის გამარჯვებამ ბევრი გაახარა საქართველოში, ამასთან, არცთუ ცოტა დაამწუხრა.

არიან ძალები, რომელნიც მათთვის არასასურველი ბლოკის გამარჯვების გამო, უკვე უარყოფითად არიან განწყობილნი მომავალი პარლამენტისადმი და მათთან თანამშრომლობის არავითარი სურვილი არა აქვთ.

ყველას აქვს უფლება მოსწონდეს ან არ მოსწონდეს ესა თუ ის პარტია, ორგანიზაცია თუ ბლოკი.

ყველას აქვს უფლება მოსწონდეს ან არ მოსწონდეს პარლამენტის შემადგენლობა.

მაგრამ, რაკი პარლამენტი დღეს ერთადერთი იურიდიულად ძალმოსილი საკანონმდებლო ორგანოა, რომელსაც თავისი გადაწყვეტილებით სიკეთე ან ვნება შეუძლია მოუტანოს საქართველოს, ჩვენი მოქალაქეობრივი და გნებავთ ეროვნული ვალია მხარში ამოვუდგეთ მას, თუნდაც იმისათვის, რომ პარლამენტი უკეთესი იყოს.

თუნდაც იმიტომ, რომ კრემლის ინტერესებში შედის ახალ პარლამენტზე დაწოლით, კრიზისული სიტუაციის შექმნით, ხალხს კვლავ კომუნისტები მონატროს.

მხარში ამოდგომა ყველაფერზე თავის ქნევას არ გულისხმობს, გულისხმობს კამათსა და დავასაც, მაგრამ არამცდაარამც განზე გადგომას და გაბუტვას.

არადა, რამდენი „გაბუტული“ მოღვაწე ჰყავს დღეს საქართველოს. მათ გასაგონად მივმართავ ისტორიის ამ გაკვეთილს.

რამდენი პრეტენზიაც არ უნდა გაჩნდეს დღევანდელი პარლამენტის მიმართ, იმას მაინც ვერავინ იტყვის, რასაც მენშევიკებით, სოციალ-დემოკრატებით შევსებული პარლამენტის შესახებ ამბობდნენ თავის დროზე, სხვათაშორის, სამართლიანად: „როგორ შეგიძლიათ თანამშრომლობა მაგ ხალხთან, ეგენი სახელმწიფო ხალხი კი არა, ნამდვილი ყაჩაღები და უსინდისოები არიანო“.

ამაზე რევაზ გაბაშვილი, ჭეშმარიტი ქართველი მოღვაწე ასე პასუხობდა: „ქართული საქმე ყველგან ან კეთდება, ან ფუჭდება, ამიტომ ყველგან უნდა ვიყვნეთ: საცა კეთდება — ხელი შევუწყოთ, საცა ფუჭდება — ხელი შევუშალოთ. განზე გადგომა ან დეზერტირობაა, ან პილატესებური ხელის დაბანაო“.

ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია...

### პარალელი № 4
### ანუ
### ბოიკოტი თუ მონაწილეობა?

კონგრესში გაერთიანებულმა რამდენიმე პარტიამ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. კარგია ეს თუ ცუდი? პასუხისათვის კვლავ ჩვენი წარსულიდან მინდა ერთ პარალელს მოვუხმო.

ვინც ადრეულ პრესას იცნობს, იცის რომ 1905-ში იგივე სიტუაცია იყო საქართველოში, როგორიც დღესაა, — იმპერია ინგრეოდა. მთავრობამ იმპერიის გადასარჩენად დემოკრატიის თამაში დაიწყო — გამოცხადდა უმაღლესი სათათბიროს არჩევნები. სხვათა შორის, არჩევნებს მაშინაც ბოიკოტი გამოუცხადეს სხვადასხვა პარტიებმა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მათ პოზიცია მალე შეცვალეს. არჩევნებს ბოიკოტს უცხადებდა, მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი იყო იმჟამად. მიხეილს უბის წიგნაკში აქვს ასეთი ჩანაწერი (გამოაქვეყნა ქეთევან ჯავახიშვილმა): ბოიკოტთან დაკავშირებით ვცდებოდით. არჩევნების მიმართ, ბოიკოტთან თუ მონაწილეობასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობები შეიძლება ამოვიკითხოთ აგრეთვე გიორგი ლასხიშვილის მემუარებში. ერთი სიტყვით, ეს პრობლემაც არახალია. დღეს ბოიკოტის გამოცხადება ერთი შეხედვით ზნეობრივი ჩანს. მაგრამ ზოგჯერ ასეთ პარადოქსთანაც გვაქვს საქმე: პოლიტიკაში რაღაც შეიძლება ზნეობრივი იყოს, გონივრული კი არა. აქედან გამომდინარე, თუ არჩევნები ჩემი ერისათვის გონივრულია, აპრიორულად ვგულისხმობ, რომ მასში მონაწილეობა ზნეობრივიც ხდება. ამას თავიდანვე ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდა სახალხო ფრონტი.

ერთ პატარა წერილს შემოგთავაზებთ. მისი სათაურია „ბოიკოტი თუ მონაწილეობა“. ეს წერილი დაიწერა არა დღეს ან გუშინ, არამედ 1905-ში. ჩაიკითხავთ მას და არ დაიჯერებთ, რომ იგი დღევანდელ დღეს არ არის დაწერილი. აი, ეს წერილიც: „რუსეთის პროგრესული პრესა ორ ბანაკად გაჰყო სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობის საკითხმა. „ოტეჩესტვა“ და „რუსკოე ბოგატსტვო“ იმ აზრისანი არიან, რომ სახელმწიფო სათათბიროს საზოგადოების შეგნებულმა ნაწილმა ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს. „ნაშა ჟიზნ“, „რუსკიე ვედომოსტი“ და სხვები ამტკიცებენ, რომ ტაქტიკა მოითხოვს სათათბიროში მონაწილეობის მიღებას. ვინ არის მართალი? ეჭვი არ არის, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა დღეს შეადგენს უმთავრეს საგანს იმათთვის, ვინც ფიქრობს კიდევ რუსეთში წესიერების დამყარებას კანონიერი გზით, ვინც თრთის საზარელი სურათების წინაშე, რომელსაც უხატავს ახლო მომავალი. ბოიკოტი თუ მონაწილეობა — ეს საკითხი ადვილი გადასაწყვეტი იქნება, თუ რომ გვექნებოდა უტყუარი, გადაუჭარბებელი, არაგაზვიადებული წარმოდგენა იმ ოპოზიციის ძალაზე, რომელსაც იმედი აქვს ძირითადად შესცვალოს რუსეთის პოლიტიკური წესწყობილება. შეიძლება მტკიცედ დარწმუნებულნი არ ვიყოთ, მაგრამ რაიმე მაგარნიადაგიანი საბუთი მაინც რომ გვქონდეს, მაშინ კითხვას — ბოიკოტი თუ მონაწილეობა, დაეკარგებოდა ინტერესი, რადგან, ცხადი იქნებოდა იმაზე პასუხის მიგება: „რასაკვირველია ბოიკოტი“, მაგრამ ვისა აქვს ახლო მომავალში მაგარნიადაგიანი საბუთი გამარჯვებისა? ვინ იტყვის თამამად: „დადგა დღე განკითხვისა!?

მივიხედ-მოვიხედოთ, გრძნობადამშვიდებულნი დავაკვირდეთ გარშემო პირობებს, გავითვალისწინოთ დაახლოებით მაინც მოპირდაპირეთა ძალები და მგონია მივხვდებით, რომ უკიდურესობის პოლიტიკას ამ მოკლე ხანში საფუძველი არ უნდა ჰქონდეს. მაშ, კითხვა ბოიკოტი თუ მონაწილეობა — დღევანდელ პირობებში ხდება ძნელი გადასაწყვეტი და დიდად მნიშვნელოვანი.

რა საბუთი აქვთ იმათ, ვინც ამბობს, რომ სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთო. ერთადერთი. სახელმწიფო სათათბირო ბიუროკრატიული დაწესებულებაა, არ დაედება მალამოდ უბედური რუსეთის ღრმა ჭრილობას, აუარებელ იარებს. სათათბიროში მონაწილეობის მიღება დათანხმება იქნება, კომპრომისი გახდება, რომელიც ფრიად ცუდ გავლენას იქონიებს თანამედროვე განმათავისუფლებელ მოძრაობაზე და იქნება ჩააქროს კიდეც.

ეს უტყუარი ჭეშმარიტება იქნებოდა, რომ მთელ მსჯელობას ერთი ნაკლი არ ჰქონდეს. ბოიკოტის დამცველთ სხვანაირად ესმით სიტყვა „მონაწილეობა“. მონაწილეობა სათათბიროში შეიძლება ორგვარი იყოს. მონაწილეობა ბრძანებისამებრ, როგორც მოითხოვს 6 აგვისტოს დებულება სახელმწიფო სათათბიროსთვის და მონაწილეობა ძალდატანებისა. რასაკვირველია, თუ მონაწილეობა გავიგეთ პირველ გვარად, მაშინ ბოიკოტის მომხრენი სრულიად მართალნი იქნებიან, მაგრამ სათათბიროში მონაწილეობის მიღების მომხრე პროგრესული პრესა სიჩუმით იგულისხმებს ძალდატანების მონაწილეობას და მაშინ ბოიკოტის გამოცხადება სათათბიროსათვის იქნება პოლიტიკური შეცდომა. ისტორია გვასწავლის, რომ სათათბირო ორგანო ყველგან გამხდარა კანონმდებლად, გადამჭრელად და იგივე მომავალი უნდა ვიფიქროთ მთელის რუსეთშიაც. რასაკვირველია, ეს ცვლილება მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სათათბირო შესდგება ოპოზიციის იმ წევრებისაგან, რომლებიც არ დათანხმდებიან მოთათბირის როლს და მოინდომებენ გადამჭრელი ორგანოს უფლებათა მოპოვებას.

ეჭვს გარეშეა, ასეთი კრებული შესაძლებელია ორის პირობით! თუ ხალხს მიენიჭება მოქალაქეობრივი და კაცობრივი თავისუფლება და თუ არსებული ოპოზიციური პარტიები ხელი-ხელს ჩაჰკიდებენ ერთი მიზნის მისაღწევად. სამწუხაროდ, ბრძოლის ცეცხლის ალმა დაჰფარა ერთი ჯგუფი მეორისაგან და განაცალკევა ძალა, რომლის შეერთებაც ეხლა ფრიად საჭიროა ბნელი ძალების დასათრგუნავად. ბნელ ძალებს, მოტრფიალეს სიცოცხლე დალეულის, ლონე მიხდილის რეჟიმისას, არა სძინავთ, ხელი ხელს სჭიდებენ მაგრად და ემზადებიან საბრძოლველად.

სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტი იმათთვის ხელსაყრელია. ბოიკოტი უადვილებს ბრძოლას, უმაგრებს ნიადაგს და საშუალებას აძლევს სულმიხდილ წესწყობილებას შედარებით ხანგრძლივი სიცოცხლე მისცენ და კვლავ გაამეფონ. ბოიკოტის ტაქტიკა აუცილებლად მოუწოდებს მოპირდაპირესთან მკლავდამკლავ შებმისაკენ. კატეგორიულად კითხვის დაყენება გმირობაა... მაგრამ, მძიმე, ძალიან მძიმე ტვირთია, საშინელი, ძლიერ საშინელი და გაუსწორებელი ნაბიჯია“.

საბედნიეროდ ქართველმა ერმა ეს გაუმართლებელი ნაბიჯი არ გადადგა. ჩვენ უკვე ვისწავლეთ რა არ ვაკეთოთ, ახლა მეორე ნაბიჯია გადასადგმელი..

**ნოდარ თორელი**

# გაუწყრეს მაღალი ღმერთი მაგ გაზეთის ნათლიმამას!

**1863 წელს** ილია ჭავჭავაძემ გამოსცა ჟურნალი **„საქართველოს მოამბე“**. ილია ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი იყო და, ცხადია, ამ ჟურნალმა ერის მონობიდან დასახსნელად დაარისხა ზარი.

იმ დროს რუსეთის იმპერიის ტახტზე იჯდა ალექსანდრე II.

ჟურნალში იმპერატორისა და მისი დამქაშების ქებას ვერ შეხვდებით, რაც ლოგიკურია და ბუნებრივი, რადგან თავისუფლებისათვის მებრძოლი, იმავდროულად დამპყრობლის აპოლოგეტი ვერ იქნება. მტერი — კი.

1976 წელს ზვიად გამსახურდიამ გამოსცა ჟურნალი **„საქართველოს მოამბე“**. ზვიად გამსახურდია იმ დროშიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი იყო და, ცხადია, ჟურნალიც ილიასეულ მიზანს ისახავდა.

იმ დროს რუსეთის იმპერიას მართავდა ლეონიდ ბრეჟნევი. ბუნებრივია და ლოგიკური, ვერც ამ ჟურნალში იხილავთ ბრეჟნევისა და მისი ლაქიების ქებას. ძაგებას — კი.

1990 წლის 26 ოქტომბერს ვლადიმერ ალფენიძის რედაქტორობით გამოიცა გაზეთი **„საქართველოს მოამბე“**.

ვლადიმერ ალფენიძე გახლავთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის ყოფილი თანაშემწე და სახინო კომუნისტური მოღვაწე, რომლის გონებაში ერთი ღამეც არ მოუთევია საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის იდეას.

ამჟამად რუსეთის იმპერიას ხელმძღვანელობს მიხეილ გორბაჩოვი.

ბუნებრივია და ლოგიკური, ვლადიმერ ალფენიძისეული „საქართველოს მოამბის“ პირველივე ნომერი გუნდრუკს უკმევს სწორედ გორბაჩოვსა და მის პირველ მინისტრს ედუარდ შევარდნაძეს.

**არაბუნებრივი და არალოგიკური სხვა რამ გახლავთ. რატომ ჰქვია იმ ჟურნალების სახელი, იმპერიისა და მის მეხოტბეთა წინააღმდეგ რომ იბრძოდნენ, იმ გაზეთს, რომელიც იმპერიის მეხოტბეებს ფეხქვეშ ეგება?!**

---

**საქართველოს მიწამ მიიბარა ნეშტი სამშობლოს მეციხოვნის, შეფიცულთა რაზმის უკანასკნელი მოჰიკანის, 1924 წლის აჯანყების გმირის**

### ალექსანდრე სულხანიშვილისა!

საუბედუროდ, მცირე ხანსაც არ დასცალდა 66 წლის შემდეგ უცხოეთიდან დაბრუნებულ ბატონ ალექსანდრეს ქართული მიწის მოხათუთება. მალე დადგა ჟამი სულისა და ხორცის გაყრისა.

საქართველოს ზეციურ სამეფოს შეუერთდა სული იმ დიდებული კაცისა, რომელიც მკერდით გადაელობა წითელ ურდოებს და ქაქუცა ჩოლოყაშვილის სხვა ძმადნაფიცებთან ერთად, არაერთხელ აწყევლინა თავბედი რუს მომხდურთ. მაგრამ, ვაი, რომ ძალამ აღმართი მოხნა.

დაიჩოქეს საქართველო, მაგრამ არ დაშრეტილა წყურვილი თავისუფლებისა. არ შეჰგუებია ქართველი კაცი მონობას. ამის მაგალითი არის ცხოვრება ალექსანდრე სულხანიშვილისა.

**საქართველოს სახალხო ფრონტი**

**გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია**

ნოდარ გრიგალაშვილი

# მე ვწერ აკადემიკოს დედაკაცზე

ამ სათაური პერიფრაზია ნიკო ლორთქიფანიძის სიტყვებისა: „მე ვწერ თავსაფრიან დედაკაცზე“. ამას დაკვირვებული მკითხველი, ალბათ, ჩემი განმარტების გარეშეც მიხვდებოდა, მაგრამ დიდი მწერლის ხსენება მაინც დამჭირდა და, აი, რისთვის. სიტყვა დედაკაცმა, ჩვენს დროში, რატომღაც, უარყოფითი ჟღერადობა შეიძინა.

აკადემიკოსი დედაკაციო, — ამის თქმამ შეიძლება, სულაც წონასწორობიდან გამოიყვანოს ადრესატი. მოსალოდნელი რისხვა რომ თავიდან ავიცილოთ, სწორედ ამიტომ, განვმარტავ — ნიკო ლორთქიფანიძე წერდა თავსაფრიან დედაკაცზე.

მე — აკადემიკოს დედაკაცზე.

სახელი მისი — ნათელა.

სიყრმითგან თვისით იყო მოშიში პარტიისა და ხელისუფლებისა.

გვარი მისი —

თუმცა, გვარის დაწერა იქნებ არც იყოს საჭირო, რადგან ისედაც ადვილად მოეხსენება მკითხველს.

განა რამდენი აკადემიკოსი ნათელა გვყავს საქართველოში?

მაგრამ, ვაითუ, ურწმუნო თომა გამომიჩნდეს და ნათელას აკადემიკოსობა არ დაიჯეროს აი, ისე ილიასთან მობაასე ჭკუათხელი ოფიცერი რომ კითხულობს გენერლების შესახებ:

„— იქნება თქვენ, მეცნიერების ენით რომ ვთქვა, დეისტვიტელნი სტატსკის სოვეტნიკებსაც მართალ გენერლებში სთვლით, ესე იგი, [illegible] ენით რომ ვთქვა, უეპოლეტო გენერლებსა, ანუ ამაზედ უფრო მდაბიურად რომ ვთქვა ულვაშო გენერლებსაც მართალს გენერლებში სთვლით? უთუოდ ვერ იქნება.

— „არა, თქვენმა მზემ, — პასუხობს „მგზავრის წერილების“ ავტორი, — არა, თქვენმა მზემ, სულ მართალს გენერლებს მოგახსენებთ“.

არა, თქვენმა მზემ, დავსძენ მეც, მართალ აკადემიკოსზედ მოგახსენებთ. არც უბრალო, უეპოლეტო სწავლულზე, არც დოცენტზე, არც პროფესორზე, აკადემიკოსზე. თანაც პატარა საქართველოს დედაქალაქში კი არა, დიდი მოსკოვის სატახტოში ხელდასმულ აკადემიკოსზე.

ეს კი უმნიშვნელო ფაქტი სრულიადაც არ გახლავთ.

მოსკოვი ტყუილად არავის არაფერს აძლევს, მათ შორის არც უმაღლეს ხარისხებსა და ეპოლეტებს.

რევოლუციამდე გერმანიაში არაერთი ქართველი სტუდენტი სწავლობდა. თუ არ ვცდები, კონსტანტინე გამსახურდია უნდა იგონებდეს: გერმანელი სწავლულები ქართველ სტუდენტებს საყველპურო ცოდნაშიც არ ამაღლიდნენ მაღალ ნიშნებს, მაშინ, როცა თვით გერმანელ ახალგაზრდებს ადვილად აცლიდნენო.

გერმანელები ჭკვიანი ხალხია. მათი თანამემამულე რომ ცრუ სწავლული გამოსულიყო, ამას არ დაუშვებდნენ, უცხოელთა ბედი კი რატომ უნდა ედარდათ?

რუსებიც ჭკვიანი ხალხია.

რამდენი ცრუ გმირი თუ ცრუ სწავლული, ცრუ აკადემიკოსი ეყოლება საქართველოს, მით უკეთესი მოსკოვისათვის.

მხოლოდ ამით უნდა აიხსნას ის, რომ:

კაცს, რომელსაც ხალხის სასიკეთოდ ჩხირი არ გადაუბრუნებია, შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს მოსკოვიდან გმირის ორდენი მოუვიდეს...

ცრუ გმირი ჩვენ წამოგვაჯდება თავზე, იმათ კი მთელი ცხოვრება მოელაქუცება.

პოეტი, რომელსაც უნიჭობის გამო შინ არავინ აფასებს, განაწყენებული მოსკოვს გავარდება, „ჩემოდნებიც“ თუ გაიყოლა, მით უკეთესი, იქ „სამართალი პურს ჭამს“ და ჩვენს უნიჭო კალმოსანს დაუტკბებიან. მოეფერებიან, ნამდვილი პოეტის ფირმანით გამოგვიგზავნიან...

ცრუ პოეტი ჩვენს ლიტერატურას დაახავსიანებს, იმათ ეს ხელსაც უნდა აძლევდეს...

სხვათა შორის, ეს მოვლენა, რაც ხალხური სიბრძნით ასეა გამოხატული — „ძაღლი შინ არ ვარგოდა და გარეთ გარბოდაო“, ერთმა უნიჭო პოეტმა, საკუთარი გამოცდილების მაგალითზე, მხატვრულ სიტყვაშიც დააფიქსირა:

„და აღარ ძალუძს გულს,
კვლავ აენთოს
და ვარ სტრიქონი სევდიან
წიგნის
და საქართველო ვარ ურუხეთოდ,
რომელსაც [illegible] ჩემი ძმა
მეძიებს“-ო.

ვ. [illegible] აქ გამოჰყვე-

ბოდა, საქართველოში გამძიძგნდნენ, პოეტობის ფირმანი, ვენაცვალე იმათ, რუსეთიდან მაქვს მოტანილიო — აი, ეს არის „პოეტის“ სათქმელი.

ასეა ყველა დარგში.

რიგ შემთხვევაში ასეა მეცნიერთა საქმეც.

შესაძლოა საქართველოში ამა თუ იმ პიროვნებას მეცნიერად არავინ იცნობდეს, შესაძლოა, მას ერთი ნამდვილი მეცნიერული გამოკვლევაც არ ჰქონდეს დაწერილი, მაგრამ ერთ დღეს გაზეთში ამოვიკითხოთ. — ესა და ეს სწავლული მოსკოვმა აკადემიკოსად აკურთხაო.

— რათა კაცო, რათა, — იკითხავს ჩემი მკითხველი.

— რათა და ქართველი რომ იყო — იმიტომ.

— აბა, ვუყვარებივართ იმ ხალხს!

— არა, ბატონებო, მათ გაუნათლებელი და მორჩილი, „დჩვალებული“ საქართველო უყვართ. განათლებული და დაუმორჩილებელი კი არა. „უსწავლელი“ პავლე ინგოროყვა სძულთ, ძალად გააკადემიკოსებული კი ყველა გულზედ ახატიათ...

ამიტომ, ვთქვი და ვიმეორებ, ადამიანს შეიძლება ღირსეული ერთი გვერდიც არ ჰქონდეს დაწერილი და იქ უეცრად აკადემიკოსად აკურთხონ-მეთქი.

თუ არ გჯერათ, გულზე ხელი დაიდეთ, მკითხველნო და მითხარით, რა გსმენიათ, რა მეცნიერული სტატიები, გამოკვლევები, მონოგრაფიები წაგიკითხავთ, ვთქვათ აკადემიკოს **ნათელა ვასაძისა?**

**რექტორი? — კი, რექტორი იყო!**

**მინისტრი? — კი, მინისტრიც გახლდათ!**

**უფრო დიდი სამინისტროს მინისტრის პირველი მოადგილე? — კი ბატონო, ბრძანდება!**

მე გეკითხებით, რა თანამდებობები ჰქონდა და აქვს იმას კი არა, მეცნიერის, აკადემიკოს ნ. ვასაძისა რა წაგიკითხავთ-მეთქი, თორემ აკადემიკოსობა რომ თანამდებობის მიხედვით რიგდებოდეს, საქართველოში რამდენიც რაიკომი, ქალაქკომი, ოლქკომი და სამინისტროა (ცეკასა და მინისტრთა საბჭოზე რომ აღარაფერი ვთქვათ) იმდენივე აკადემიკოსი წამოფრთიანდებოდა.

არ გახსენდებათ, ხომ? მე გეტყვით აბა, თუ რა არის აკადემიკოს ნათლა ვასაძის „ფუნდამენტური მეცნიერული“ ნაშრომი...

1964 წელს მან გამოსცა 73-გვერდიანი ბროშურა — „პიონერული ორგანიზაციის მუშაობა სკოლა-ინტერნატში“, რომელიც 2 წლის შემდეგ რამდენიმე თავით შეავსო და გამოაქვეყნა წიგნი ახალი სათაურით: „სკოლა-ინტერნატში აღმზრდელობითი მუშაობის ზოგიერთი საკითხი“.

ეს არის და ეს, რითაც ქალბატონმა ნ. ვასაძემ მეცნიერული კარიერა გაიკეთა. რითაც ჯერ მეცნიერებათა კანდიდატი დ დოცენტი გახდა, შემდეგ დოქტორი და პროფესორი, ბოლოს კი აკადემიკოსის უმაღლესი ტიტულიც მიართვეს...

მაინც რა წერია ასეთი იმ 73-გვერდიან ბროშურაში?

თავის დროზე კომპარტიის მანიფესტზე ითქვა, ეს პატარა ბროშურა მთელ ტომებს უდრისო...

— მერე რა, რომ ნ. ვასაძის ნაშრომი — „პიონერული ორგანიზაციის მუშაობა სკოლა-ინტერნატში“, პატარა ბროშურაა. იქნებ ისიც მთელ ტომებს უდრის? როდის იყო მეცნიერს წიგნის მოცულობის გამო ედავებოდნენ?!

— სთქვი შენ და მე გავიგონე, ჩემო ხილულო და უხილავო ოპონენტო. გავიგონე და ეგ საყვედური გულს ჩამრჩა, ამიტომ უნდა ავხსნა და განვმარტო: ეს პატარა ბროშურა, მართლა პატარა, ძალიან პატარა რომ არის ავტორის ნალევწ-ნააზრევით.

დიდ ტომებზე რა მოგახსენოთ და კომპარტიის მანიფესტით კი იგი ნამდვილად გახლავთ შთაგონებული...

ჩვენმა სწავლულმა მეცნიერების მწერლებმა ასეთი არაფრისმთქმელი, ყალბი, პომპეზური და ეგზალტირებული ფრაზებით დაიპყრო:

**„კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიადი პერსპექტივები მოხაზულია სკკპ პროგრამაში“. (ხაზი ყველგან ჩემია, ნ. გ.).**

**„ჩვენი პარტიის მთელი ისტორია საბჭოთა ხალხის ნათელი მომავლისათვის ბრძოლის ისტორიაა“.**

**„ჩვენი პარტიის ყოველი ღონისძიება, მისი შექმნიდან დღემდე, ემსახურება ადამიანის აღზრდის კეთილშობილურ იდეას. ამის დადასტურებაა პარტიის XX, XXI, XXII ყრილობათა გადაწყვეტილებანი სახალხო განათლების საკითხებზე“.**

მოდით, ავტორის ზემოთწარმოდგენილ ციტატებს ნუ განვსჯით ამჟამინდელი პოზიციიდან. იმ დროს, როცა ეს „სამეცნიერო შრომა“ იწერებოდა, თითო-ოროლა სწავლულის გარდა, ყველა პარტიის ქება-დიდებაში იყო და მაინცდამაინც, ნ. ვასაძეს ნუ ვაქცევთ განტევების ვაცად.

ერთი მარტივი კითხვა კი მაინც უნდა დაისვას:

თუ „ჩვენი“ პარტიის **მთელი ისტორია** საბჭოთა ხალხის ნათელი მომავლისათვის ბრძოლის ისტორიაა;

თუ „ჩვენი პარტიის **ყოველი ღონისძიება მისი შექმნიდან** დაწყებული, ადამიანის აღზრდის კეთილშობილურ იდეას ემსახურებოდა, მაშინ ყოველივე ამის დადასტურება რატომ არის პარტიის მხოლოდ XX, XXI, XXII ყრილობათა გადაწყვეტილებანი?

აკი პარტია მისი დაბადებიდანვე ადამიანის აღზრდის კეთილშობილურ იდეაზე ზრუნავდაო?

პარტიას კი XX ყრილობამდე 19 ჰქონდა ჩატარებული და კაი 60 წელს გახლდათ მიტანებული...

ციტირებული სტრიქონების თავი და ბოლო ეწინააღმდეგება ერთმანეთს? კი, ეწინააღმდეგება, მაგრამ ეს ერაფერი, ქაღალდი ყველაფერს იტანს, მთავარია, ადამიანს ცხოვრებაში არ შეხვდეს წინააღმდეგობები და ძალით არ გაიჩინოს პრობლემები. ეს კარგად იცის ყოველმა მედროვე მეცნიერმა, ეს კარგად უწყის ამხ. ნ. ვასაძემაც, სწორედ, ამიტომ წერს: ამის დადასტურებაა პარტიის XX, XXI, XXII ყრილობათა გადაწყვეტილებანიო.

საქმე ის გახლავთ, რომ აღნიშნული ბროშურა ხრუშჩოვის დროში იწერებოდა, აღნიშნული ყრილობებიც ხრუშჩოვმა ჩაატარა.

მერე დრო შეიცვალა. ნიკიტას ლეონიდი შეენაცვლა. ქვეყანაში კი არაფერი შეცვლილა, გამოიცვალა მხოლოდ მედროვეთა „პოზიცია“. მათ შორის ამხ. ნ. ვასაძისა.

ადრე თუ ნიკიტას აქებდნენ, ნიკიტას შემდეგ ლეონიდზე დაიწყეს ლოცვა.

ასე, მაგალითად, ბავშვთა საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილ მოხსენებაში ნ. ვასაძე დაწერს: „1979 წლის 1 იანვარს საბჭოთა ნორჩმა თაობამ ყველაზე ძვირფასი საჩუქარი მიიღო“. ეს სტრიქონები რომ წავიკითხე, გული დამწყდა,, საბჭოთა ბავშვებს 1979 წლის 1 იანვარს, ალბათ ძვირფასი რამ საჩუქარი ჩამოურიგეს და რაღა მაშინ ვიყავი სტუდენტი და არა, ვთქვათ, საბავშვო ბაღის აღსაზრდელი-მეთქი, მაგრამ ჩემი „შურიანობა“ უსაფუძვლო გამოდგა. ბავშვებისთვის ძვირფასი საჩუქარი, მე რომ ტკბილი სასუსნავი მეგონა (ამაზე შორს საბჭოთა ბავშვის ფანტაზია ვერ მიდის...) ამხ. ნ. ვასაძეს, თურმე, სულ სხვა რამ ჰქონია მხედველობაში.

აი, რა: „1979 წლის 1 იანვარს საბჭოთა ნორჩმა თაობამ ყველაზე ძვირფასი საჩუქარი მიიღო“ — კვლავ უნდა გავწყვიტო ციტატი და ისე, ინტერესისათვის გკითხო, ძვირფასო მკითხველო, რა საჩუქარზე შეიძლება იყოს აქ ლაპარაკი?

ტკბილეულზე? — არა-მეთქი!

ტანსაცმელზე — არა!

ბავშვთა ქალაქზე? — როგორ გეკადრებათ!

ტყუილია, ვერ გამოიცნობთ იმას, რაც ამხ. ნ. ვასაძეს აქვს მხედველობაში. გავრძელებ ციტატს "...ნორჩმა თაობამ ყველაზე **ძვირფასი საჩუქარი მიიღო — მას ცენტრალური ტელევიზიით მიესალმა და ბავშვთა საერთაშორისო წელი მიულოცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა“.**

კიდევ კარგი, გენერალური მდივნები მოუცლელი ხალხია და ბავშვებთან საუბარს ტელევიზიის საშუალებით ხშირად ვერ ახერხებენ, ჩვენს შვილებს ხშირი სიხარულისა და ბედნიერებისაგან ხომ დაუსკდებოდათ გულები...

ერთი სიტყვით, მედროვე მეცნიერი იმიტომაა მედროვე, რომ ყველა დროში ხელმწიფეზე აქვს სწორება...

ნ. ვასაძესაც, როგორც მედროვე მეცნიერს, არ გაემტყუნება...

როგორც ცნობილია, ნიკიტა ხალხს დაჰპირდა, 20 წელიწადში კომუნიზმს ავაშენებთო, ქალბატონი ნათელაც დაუეჭვებლად, სრული რწმენით წერს: „პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ დიდმნიშვნელოვან საქმეს, როგორიც არის მოზარდი თაობის აღზრდა, აღზრდა იმ თაობისა, **რომელიც კომუნიზმში იცხოვრებს**“. (ლაპარაკია 60-იანი წლების ბავშვებზე).

ისე ჩვენი მტერი იყოს, ჩვენ რომ ახლა კომუნიზმში ვცხოვრობთ.

თუმცა ეს ტყუილიც შევუნდოთ პატივცემულ მეცნიერს.

ხალხის გაბითურება ნიკიტა ხრუშჩოვის კისერზე იყოს.

როგორი წარმოუდგენია ნ. ვასაძეს ზრდადასრულებული ადამიანი? — „საბჭოთა ადამიანს სხვა შესანიშნავ თვისებებთან ერთად გააჩნია კომუნისტური იდეების უსაზღვრო ერთგულების გრძნობა“ — წერს იგი. რაკი ეს ასეა, მეცნიერის ზრუნვის საგანს მომავალი თაობა წარმოადგენს. მომავალი თაობა ისე უნდა აღიზარდოს, რომ უფროსთა მსგავსად მათაც გააჩნდეთ კომუნისტური იდეების უსაზღვროდ ერთგულების გრძნობა. ამისათვის იგი ჯერ ზოგად დებულებებს გვთავაზობს, შემდეგ კი კონკრეტულ წინადადებებსაც გვიზიარებს.

**„კომუნისტური მორალი ყველაზე კეთილშობილი, ყველაზე დიადი, ყველაზე მიმზიდველი მორალია“** — წერს იგი და იქვე განაგრძობს: „როგორ გავხდეთ ნამდვილი კომუნისტები? — **ამ საკითხს გულდასმით განიხილავს ყველა ასაკის ბავშვი“ (?)**

მართალია, მეცნიერის აზრით ამ საკითხს ყველა ასაკის ბავშვი **გულდასმით განიხილავს,** მაგრამ, ბავშვი მაინც ბავშვია და შეიძლება სწორ დასკვნამდის ვერ მივიდეს, ვერ მიხვდეს, როგორ უნდა გახდეს ნამდვილი კომუნისტი. ეს გარემოება გაუთვალისწინებია აკადემიკოს ნ. ვასაძეს და ფრიად საყურადღებო მოსაზრებებს გვთავაზობს. ამ მოსაზრებებს დავიწყების ფერფლი რომ არ გადაეყაროს პატარ-პატარა ქვესათაურებით გამოვყოფ და, მეცნიერის „ნათელ“ აზრებს შავი შრიფტით ავაწყობინებ...

**„ეს სავსებით მცდარი აზრია“**

— წერს ქალბატონი ნათელა, ვიდრე იმას ვიტყოდე, რა მიაჩნია მას მცდარ აზრად, ერთი ვრცელი ციტატი მინდა „წარვუდგინო“ მკითხველს მისი წიგნიდან: „კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური მუშაობის მთავარ სახედ პარტია თვლის ხალხის აღზრდას მეცნიერული კომუნიზმის სულისკვეთებით.

მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდაში განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის საზოგადოებრივ აღზრდას, რომელსაც საფუძვლად ედება კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ლენინის აზრები მომავლის ადამიანის შესახებ“. ამ თეორიული წანამძღვრების შემდეგ ნ. ვასაძეს გადასაწყვეტი რჩება ამოცანა: რა ასაკიდან უნდა დავიწყოთ ადამიანის იდეოლოგიური დამუშავება?

**„ზოგ სკოლა-ინტერნატში მ[illegible]ნიათ-ო — წერს [illegible] ზოგადოებათმცოდნეობის [illegible] უფროს კლასებში [illegible] პოლიტიკური აღზრდაც ამ კლასებში უნდა დაიწყოს. ეს სავსებით მცდარი აზრია“.** — აგაშენათ ღმერთმა, ქალბატონო ნათელა, რომ ბავშვები ნაადრევად არ გაიმეტეთ-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ მანამდე ცივი წყალი მქონდა გადასხმული. აკადემიკოსი შეუვალად წერდა: **„ზოგიერთები კითხულობენ... ნაადრევი ხომ არ იქნება პირველკლასელებთან პოლიტიკურ მოვლენებზე საუბარი“-ო. რას ქვია ნაადრევი იქნება, ნაადრევი კი არაა, დაგვიანებულიც გახლავთ**—

აღშფოთებულია აკადემიკოსი და მთელი პრინციპულობით წერს: **„იდეური აღზრდა სწორედ პირველი კლასიდან უნდა დავიწყოთ“-ო.**

დაიწყეს კიდეც. რა დაუდგებოდათ წინ?

ასე გასწორეს ჩვენი კუდრაჭა გოგო-ბიჭები, საბავშვო ბაღიდან აფრენილებს პირდაპირ მარქს — ენგელს — ლენინის იდეები ჩაუჩაქუჩეს თავში.

**„ყველა ასაკის ბავშვს აინტერესებს, როგორ გახდეს ნამდვილი კომუნისტი“**

ასე ფიქრობს ნ. ვასაძე, მაგრამ რა გზებითა და მეთოდებით უნდა განხორციელდეს ეს ამოცანა? რეცეპტი შეგიძლიათ იხილოთ ბროშურის 32-ე გვერდზე. აი, ისიც: **„მოსწავლეთა იდეური აღზრდისათვის უხვ მასალას ძლევა ვ. ი. ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა, ჩვენი აზრით, ყველა აღმზრდელი უნდა იცნობდეს ნ. კრუპსკაიას სტატიას „რა მოვუთხროთ მოსწავლეებს ვ. ი. ლენინის შესახებ და როგორ“.**

ცოტა ქვემოთ აკადემიკოსი დასძენს: „ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საუბრების ჩატარებისას აუცილებლად უნდა ვიხელმძღვანელოთ ნ. კრუპსკაიას მითითებებით. ეს მითითებები უნდა დავუდოთ საფუძვლად აგრეთვე მთელს იდეურ-პოლიტიკურ საქმიანობას“.

ახლა წარმოიდგინეთ, კრუპსკაიას რომ ეს სტატია არ დაეწერა, ანუ მითითებები არ მოეცა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვასწავლოთ ბავშვებს ლენინის ცხოვრება, ან უფრო მეტი უბედურება გაისიგრძეგანეთ, ლენინს რომ სულაც არ მოეყვანა კრუპსკაია ცოლად, მთელი საქართველოს ბავშვები ხომ დაგვრჩებოდნენ სიბნელეში, იდეურ-პოლიტიკურად მთლად გაუნათლებელნი?

ნ. ვასაძე გრძნობს, რომ I კლასიდან დაწყებული ცხოვრების ბოლომდე მხოლოდ ლენინის ბიოგრაფიის სწავლებამ, შეიძლება, ერთფეროვნების დაღით აღბეჭდოს საბჭოთა ადამიანის ცხოვრება, ამიტომ სვამს კითხვას: კიდევ „რა ფაქტები და მაგალითები გამოვიყენოთ საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობის აღზრდისას?“

პასუხი: **„პირველ რიგში, ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსული, პროლეტარიატის ბელადთა ცხოვრება, დიდი სამამულო ომის ჰეროიკა, კოსმოსის დამპყრობი საბჭოთა ხალხის ყოველდღიური ცხოვრების ჰეროიკა“.**

როგორც ხედავთ, არც ერთ ჩვენს ეროვნულ გმირზე მეცნიერი კრინტს არ ძრავს. თურმე ჩვენს გოგო-ბიჭებს სადღაც ყაზახში მონასტირშინაში და პაჩინიოკში გაზრდილი რუსების ბიოგრაფიები უნდა ვუკითხოთ მამაო ჩვენოსავით. პროლეტარიატის ბელადების ცხოვრება უნდა ვაზუთხინოთ (რა ხეირი იმათ დაგვაყარეს) და ქართველი გმირების ხსენებას უნდა ვერიდოთ.

თუმცა, ისიც საკითხავია, ვის ვიგულვებთ ჩვენ სახელოვან წინაპართა შორის და ვის მიიჩნევს ასეთად ნ.ვასაძე? ვის მიიჩნევს და სერგეი კიროვს, სერგო ორჯონიკიძეს, ფილიპე მახარაძეს, მამია ორახელაშვილს, მარიამ ორახელაშვილს და ძმათა მათთა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი კი მისთვის ნაციონალიზმის სენით მოწამლული ავანტიურისტი გახლავთ. ამ საკითხზე შეგვიძლიათ ვიხილოთ თანაავტორობით ერთად დაწერილი

მისი ნაშრომი „მარიამ ორახელაშვილი“ (თბ. 1978 წ.)

ერთი სიტყვით, ნ. ვასაძის აზრით, ქართველი ბავშვი რომ ნამდვილ მოქალაქედ გაიზარდოს, ჯერ არს ლენინის ბიოგრაფიას გაეცნოს (ოღონდ ნადეჟდა კრუპსკაიას მითითებების შესაბამისად), შემდეგ კი ჩვენი **„სახელოვანი წინაპრების უკვდავი საქმეებით“** უნდა დაინტერესდეს. თუ ვინ იგულისხმება ამ სახელოვან წინაპრებში, უკვე მოგახსენეთ...

**„სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა ახლანდელი თაობა კომუნიზმში იცხოვრებს“.**

რაკი ასე „სწამდა“ ნ. ვასაძეს, სკოლა-ინტერნატებს და საზოგადოდ, სასწავლო დაწესებულებებს ისიც განუსაზღვრა, თუ რა იყო და რა არის მათი ძირითადი ამოცანა: **„აღვზარდოთ პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესების ერთგული ადამიანები, რომლებიც მზად იქნებიან არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით, პირადი მაგალითით დაამტკიცონ სამშობლოს ერთგულება, პარტიისა და ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარული, პატივისცემა მთელი მსოფლიოს ხალხების მიმართ, რომლებიც შეძლებენ საბჭოთა სამშობლოს ბედნიერებისათვის გადალახონ ყოველი დაბრკოლება“**. ეს უწყინარი რახარუხი ასატანი იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება: ნ. ვასაძე ჯერ წერს სამშობლოს ერთგულების შესახებ, შემდეგ კი, აქაოდა მოუმზადებელმა ბავშვებმა და ზოგ-ზოგმა პედაგოგმა სამშობლოში საქართველო არ იგულისხმონ, ცნებას სამშობლო, აზუსტებს სინტაგმით „საბჭოთა სამშობლო“.

საბჭოთა სამშობლო და ანტისაბჭოთა სამშობლო რომ არ არსებობს, ეს არ შეიძლება შერაცხადმა ადამიანმა არ იცოდეს, უბრალოდ, თუ ვიტყვით საბჭოთას, თვალწინ დაგვიდგება უზარმაზარი მიწა-წყალი — იაკუტიიდან პოლონეთის საზღვრებამდე.

ნ. ვასაძის მიზანიც ეს არის, ბავშვს უნდა შთააგონოს, რომ მისი სამშობლო ეს პატარა, დაჭრილ-დასახიჩრებული, გვემული და ძალით გასაბჭოებული საქართველო კი არ არის, არამედ რუკაზე წითელი ფერით აღბეჭდილი უდიდესი ერთი მეექვსედი: ბავშვიც ამ შეგნებით იზრდება. ამიტომ ცოტა მაღალი ხელფასის გულისთვის ქართველი ახალგაზრდა ბამზეც მშვენივრად სახლდება ნამუსაუმღვრევლად. სდიე მერე მის გარუსებულ ბავშვებს რაფიელ ერისთავის „ნაციონალისტური“ ლექსით — სად მამა-პაპა გეგულვის, შენი სამშობლო ის არის, — უკიჟინე რამდენიც გინდა. არარაფერი გამოდის და ეკარგება საქართველოს ქართველი. სამაგიეროდ ჩვენი იდეოლოგიურად სანდო მეცნიერები მოსკოვში აკადემიკოსობას გაიკრავენ...

ახლა კვლავ ქვესათაურს მინდა დავუბრუნდე. კომუნიზმში რომ შევაბიჯოთ, როგორც ითქვა, საჭიროა გავზარდოთ პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესების ერთგული ადამიანები და ვემსახუროთ საბჭოთა სამშობლოს, უნდა გვიყვარდეს ჩვენიანიც და უცხოც, ანუ უნდა ვიყოთ რა? — პატრიოტებიც და ინტერნაციონალისტებიც! ასეა ხომ? არა, ბატონებო, მთლად ასე არ არის, როგორც სამშობლო არ წარმოითქმის საბჭოთას გარეშე, ისე პატრიოტობა და ინტერნაციონალისტობა „ვიწროვდება“ თვინიერ ამ უკანასკნელისა. ნ. ვასაძის აზრით, არ არის საკმარისი იყო პატრიოტი და ინტერნაციონალისტი. საჭიროა მოზარდში შევიტანოთ არა უბრალოდ პატრიოტიზმის, არამედ **საბჭოთა პატრიოტიზმის** შეგნება.

კვლავ გადმოვწერ ბროშურიდან ნ. ვასაძის დებულებას: „რა ფაქტები და მაგალითები გამოვიყენოთ საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობის აღზრდისას? პირველ რიგში ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსული, პროლეტარიატის ბელადთა ცხოვრება, დიდი სამამულო ომის ჰეროიკა, კოსმოსის დამპყრობი საბჭოთა ხალხის ყოველდღიური ცხოვრების ჰეროიკა“. კეთილი და პატიოსანი, იყოს ასე, რადგან ცოტნე დადიანის გმირობის გახსენებით უბრალოდ პატრიოტი გაიზრდება ბავშვი და არა საბჭოთა პატრიოტი. რა დროს ცოტნე დადიანია, როცა გვყავს ჩვენი იური (გაგარინს ვგულისხმობ), ჩვენი ალექსანდრე (მატროსოვს ვგულისხმობ), და ა. შ. და ა. შ. კიდევ რა არის საჭირო მოზარდში საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობის შთასანერგავად? პირველ რიგში ნ. ვასაძე კვლავ „დიდი პედაგოგის“ ნ. კრუპსკაიას სიტყვებით გვმოძღვრავს: „ბავშვებს უნდა ვუამბოთ. როგორ ძარცვავენ ძლიერი იმპერიალისტური სახელმწიფოები სუსტებს“. თავად კი დასძენს: „საბჭოთა პატრიოტიზმის დანერგვისას უნარიანად უნდა გამოვიყენოთ ყოველივე ის, რითაც ჩვენი სამშობლო ამაყობს: „ჩვენი ქვეყნის **მშვიდობისმოყვარული** პოლიტიკა, მისი **უანგარო** დახმარება დამონებული და დაჩაგრული ხალხებისადმი, დემოკრატიულ რესპუბლიკებთან **მეგობრობა** და ა. შ. აუცილებელია აგრეთვე აღსაზრდელებს გავაცნოთ ბავშვთა მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში“. ეს ალბათ იმისათვის, რომ ვაჩვენოთ საბჭოთა ბავშვებს, რამდენად ბედნიერები, ლაღნი და თავისუფალნი არიან ისინი ულუკმაპურო, მშიერ-მწყურვალ, ინგლისელ, ან ფრანგ ბავშვებთან შედარებით...

საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით აღზრდის პრობლემა მარტივად გადაწყდა, ტექნიკურად ცოტა მეტ სირთულეებთან არის დაკავშირებული მოზარდებში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობის „გამომუშავების“ საკითხი.

ტექნიკურად ცოტა მეტ სირთულეებთან არის დაკავშირებული — მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ჩვეულებრივ ინტერნაციონალიზმზე რომ იყოს საუბარი, ბავშვებს, ვთქვათ, ვაჟა ფშაველას „სტუმარ-მასპინძელს“ წავუკითხავდით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის აღზრდა კი უფრო ქმედით ღონისძიებებს მოითხოვს. მაგალითად ნ. ვასაძე ასეთ თვალსაზრისს გვთავაზობს: სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებმა უნდა მისწერონ წერილები სოციალისტური ქვეყნების თანატოლებს. შემდეგ მათი პასუხები განიხილონ საჯაროდ და ასე მიმოწერაში აღიზრდება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობა.

არ ვიცი. ეს აზრი მეცნიერის გონებაში დაიბადა თუ სხვამ მოიფიქრა, ერთი კია, იგი აღფრთოვანებული ჩანს იმით, რომ „ძნელად მოინახება სკოლა-ინტერნატი, რომლის კოლექტივს მიმოწერა არ ჰქონდეს სხვა რესპუბლიკის ასეთივე დაწესებულების კოლექტივთან. ერთმანეთს წერილებს სწერენ ცალკეული აღსაზრდელები, პიონერული რგოლები, რაზმები, რაზმელები, კომკავშირლები, შემდეგ ცოტა გულდაწყვეტით აღნიშნავს — მართალია, ზოგ სკოლა-ინტერნატში მიმოწერა სუსტადაა გამოყენებული კომუნისტური აღზრდის საქმისათვის, მაგრამ — მეცნიერი ოპტიმისტურ პათოსს არ ჰკარგავს — სკოლა-ინტერნატების უმრავლესობა კარგად იყენებს აღზრდის ამ საშუალებას, რაც გვაფიქრებინებს, რომ მომავალში მიმოწერის საშუალებით დამეგობრებას ექნება უფრო ფართო და მტკიცე ხასიათი: უკვე ტრადიციად იქცა მიღებული წერილების საჯარო განხილვა და პასუხების შედგენა“...

ახლა წარმოიდგინეთ ის ანეკდოტური ვითარება 100-200 ბავშვი წერილს რომ აღგენს, ანდა იმ წერილის პასუხს განიხილავს, უცებ, პატარა აღსაზრდელს რომ გარეთ წაცუნცულება მოუხდეს, შეიძლება პიონერხელმძღვანელის ან კომკავშირის მდივნის რისხვაც დაიმსახუროს, შენ აქ თამაში ხომ არ გგონია, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის აღზრდის გაკვეთილი მაქვსო — უთხრას?).

ისე, ბავშვები, განსაკუთრებით პირველ-მეორე კლასში, მოგეხსენებათ, ჭირვეულნი არიან. ხშირად იმასაც კი ამბობენ, ეს სათამაშო ჩემია, ხელი გაუშვით.

არადა, ამ ბავშვებმა კომუნიზმში უნდა იცხოვრონ. ისინი ნ. ვასაძის აზრით, ამთავითვე უნდა მივაჩვიოთ „კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის პრინციპების სულისკვეთებით“ ცხოვრებას: ბავშვთა ჭირვეულობა და ანცობა აკადემიკოსს შეუმჩნეველი არ დარჩენია და წერს კიდეც: „ზოგჯერ ბავშვები ძნელად ეჩვევიან ერთმანეთს, არ უნდათ ერთად თამაში, კინკლაობენ, ხშირად გაიგონებთ: „ხელი არ ახლო, ჩემია“, ამ სიტყვების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლაა საჭირო“.

ალბათ აქ მეტი სინათლისათვის აჯობებდა მეცნიერს დაეწერა: „ჯვაროსნული ლაშქრობაა“ საჭირო, ასე უფრო შეშინდებიან კომუნიზმის მომავალი მოქალაქენი და ბურჟუაზიულ „ჩემიას“-ს აღარ წამოიძახებენ...

კიდევ რა შეიმჩნევა აღსაზრდელებში ისეთი, რაც ხელს უშლის ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას? კიდევ რის წინააღმდეგ არის უპრიანი ჯვაროსნული ლაშქრობა თუ შეურიგებელი ბრძოლა? „უფროსი თაობა ბევრს ფიქრობს, თუ როგორი უნდა იყოს ახალი საზოგადოების ადამიანი — წერს ამხ. ნ. ვასაძე — რა თვისებები და პრინციპები უნდა ჩაენერგოს მას.

ამ ფიქრმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე. რომ ბავშვებსა და მოზარდებს შორის დღესდღეობით კიდევაა საჭირო ათეისტური პროპაგანდა“.

მასწავლებელი, რომელსაც ამ საქმეში დიდად გამოუჩენია თავი, ნ. ვასაძის, განსაკუთრებული შექების ღირსი ხდება. ერთი მორწმუნე ბიჭუნასათვის ამ პედაგოგს ანტირელიგიური ხასიათის ლიტერატურა მიუცია. თუმცა, მოვუსმინოთ თავად მას: მორწმუნეზე „დიდი გავლენა მოახდინა ე. იაროსლავსკის წიგნმა „ბიბლია მორწმუნეთა და ურწმუნოთათვის“ და ლ. ტაქსილის „სახალისო ბიბლიამ“. უფრო გვიან მე ვუშოვე სათანადო ლია ბარათები და ანტირელიგიური ხასიათის ბროშურები. ასე, ნელ-ნელა ბიჭი **სწორ გზაზე დადგა და თვითონ დაინტერესდა პიონერული ორგანიზაციით“**.

აკადემიკოსი თავის მხრივ დასძენს, რომ **„აუცილებელი და დროულია ბურჟუაზიული გადმონაშთების (?) მათ შორის რელიგიური ცრურწმენის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის წარმოება.** ეს ამოცანა სკოლა-ინტერნატების წინაშეც დგას.

არ კმარა მხოლოდ აღნიშვნა იმ ფაქტებისა, რომ სკოლა-ინტერნატებში გვხვდებიან მორწმუნე მშობელთა შვილები, ან ბავშვები, რომლებიც თვითონაც ჩათრეულნი არიან **რელიგიის ჯურღმულებში.** საჭიროა რელიგიურ ათეისტური პროპაგანდის სისტემატური ჩატარება“.

„დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ასეთივე მუშაობის ჩატარებას იმ მშობელთა შორის, რომლებიც რელიგიური ნაბოდვარით არიან დაბრმავებულნი“.

აკადემიკოსი ნათელა ვასაძე ამჟამად განათლების მინისტრის პირველი მოადგილე გახლავთ (ღმერთმა თბილად ამყოფოს), მაგრამ მე ერთი კითხვა მინდა მას საჯაროდ დავუსვა.

ნ. ვასაძე რომ მედალოსნის ნაწერს წაიკითხავს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, სადაც, ვთქვათ, ასეთი ფრაზაც იქნება — „შუშანიკი იყო ყველაზე ჰუმანური, ყველაზე კაცთმოყვარული რელიგიისათვის, ქრისტიანობისთვის თავდადებული წმინდანი“-ო. ხომ გადაუსვამს ამ სიტყვებს წითელ ხაზს?

თუ რელიგიის მისეულ შეფასებას დავეყრდნობით, უნდა ვწეროთ ასე: **შუშანიკი იყო „ბურჟუაზიული გადმონაშთი“**, კერძოდ, **„რელიგიური ცრურწმენით“, „რელიგიური ნაბოდვარით“** დაავადებული, **„რელიგიის ჯურღმულებში“** მყოფი წმინდანი... „ასე თუ დავწერთ, იქნებ ხუთიანიც დაგვიწეროს მინისტრის პირველმა მოადგილემ. არადა, ღმერთი, რჯული, მე არაფერი შემითხზავს. როგორც ნახეთ, თავად წერს აკადემიკოსი — რელიგია ბურჟუაზიული გადმონაშთიაო, რელიგიურ ნაბოდვარსა და ჯურღმულებზე რომ მეტი აღარაფერი ვთქვათ.

— კმარა, ცოდოა. — კვლავ მესმის უხილავი ოპონენტის ხმა.

— მართალი ხარ, ჩემო მკითხველო, მაგრამ ის რწმენა, რომლისთვისაც ჯვარს ეცვა მაცხოვარი და ერი ჩვენი, რომელმაც აქამომდის მოიყვანა ქართველობა, რომლისთვისაც ამდენი სისხლია დათხეული ჩვენი წინაპრებისა, ცოდო არ არის განა პირაშვებული ათეისტური ლანძღვისათვის?!

ის მასწავლებლები, ზემოთგანხილული ბროშურა რომ მოსდით მეთოდურ სახელმძღვანელოდ. თანაც ამ ბროშურის ავტორს ძალაც რომ შესწევს, აიძულოს ისინი თავისი მითითებები განახორციელონ, ცოდონი არ არიან განა?!.

ან ის ბავშვები არ არიან ცოდვანი, ზემოთგანხილულ იდეებზე რომ აღიზარდნენ?!

იქნებ ის რედაქტორი არ გახლავთ ცოდო, ვინც ამ წერილს დაბეჭდავს, გარისკავს და ხელმწიფისტოლა ჩინოვნიკს გადაიკიდებს სამუდამოდ?

დაბოლოს, განა მე ცოდო არ გახლავართ, ჩემი უმადური პროფესიის გამო ასეთი წიგნების წაკითხვაც რომ მიწევს?

ცოდო ვართ ყველანი, ცოდო, ამ ცოდვისშვილების ხელში...

P. S რედაქტორი, რომელიც ნ. ვასაძეს „გადაიკიდებდა“ არ აღმოჩნდა... წერილმა ძალზე დიდხანს „იმოგზაურა“ რედაქციიდან რედაქციაში. ასე რომ. იძულებული გავხდი ეს საქმეც თავად მეტვირთა...

# „გორბაჩოვი“ საბრალდებო სკამზე...

**პირველივე** შემხვედრი რომ გააჩეროთ და ჰკითხოთ: გეთაყვა, აბა თუ მეტყვი, სახელმწიფო სათავეში მოსვლის უმალ გორბაჩოვმა რა მოიმოქმედაო, დარწმუნებული ვარ, მეხსიერების წვალების გარეშე გულჯავრიანად მოგიგებთ: ჯანდაბას მაგის თავი! ალკოჰოლს დაეძგერაო!

ძნელი სათქმელია, ახლადგამომცხვარი გვირგვინოსნის უდღეური ორიგინალური დებიუტი გახლდათ ეს თუ „კრემლის დედოფლის“ შურისგება საყვარელი ძმის გალოთებით გამოწვეული.

ასეა თუ ისე, შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ სულ მალე, ლოთისა და სასმელ-სათრობის ორანიც აღარ დარჩებოდა მსოფლიოს ერთ მეექვსედზე.

...ისტორიამ იცის საოცარი დაცინვა. და რაკი ჩვენი საუკუნე „დიდი სივრცეების დაძლევის საუკუნეა“ — დიადიდან სასაცილომდე მანძილიც სულ უფრო მცირდება, და პირუკუ. ასე მოხდა ამჯერადაც: გორბაჩოვის სახელი, რომელიც ალკოჰოლთან „თავდაუზოგავი“ ბრძოლებისა გამო წყევლა-კრულვით იხსენიებოდა საბჭოთა მემთვრალეებში, გაღმერთებულ იქნა ევროპელი „კოლეგების“ მიერ, სწორედ არყის დახმარებით.

თავშესაქცევად გთავაზობთ ამონარიდს გაზეთ „იზვესტიის“ ამა წლის 5 ნოემბრის პუბლიკაციიდან.

კ. ლიკლიკაძე

**...არაყმა „გორბაჩოვმა“, რომელსაც დასავლეთგერმანული ფირმა „გორბაჩოვი გმბხ“ აწარმოებს, 1985 წლიდან ელვის უსწრაფესად იწყო პოპულარობის მოხვეჭა მთელს ევროპაში. ხოლო ახლახანს მან არყების ისეთ დიდ ხუთეულში ამოყო თავი, რომლებიც ყველაზე ფართო მოთხოვნილებით სარგებლობენ ალკოჰოლის მოყვარულთათვის. საბჭოთა ფირმა „ვინესქსპორტს“ მიაჩნია, რომ ეს თავბრუდამხვევი წარმატება დაუმსახურებელია, რადგან სასმელს რეკლამაში წვლილი მის ხარისხს კი არა, გორბაჩოვს მიუძღვის.**

**„ვინექსპორტი“ გულმოდგინედ ემზადება სასამართლო პროცესისათვის და არც მეტი — არც ნაკლები, განზრახული აქვს პირისაგან მიწის აღგავოს „გორბაჩოვი“. გამძვინვარებული „ვინექსპორტისაგან“ საკუთარი ფირმის დასაცავად, გერმანელი კოლეგები ერთ ამაღელვებელ ისტორიას იშველიებენ: მათი მტკიცებით, ეს არაყი 1880 წელს პეტერბურგში ჩამოასხა მეფის გენერალმა ლ. გორბაჩოვმა. ხოლო 1919 წელს, ფირმის სხვა თანამშრომლებთან ერთად ლტოლვილმა გენერალმა თავისი საქმიანობა ბერლინში განაგრძო.**

**საბჭოთა მხარე არყის წარმოშობის გერმანელი კოლეგებისეულ ამ ვერსიას, რბილად რომ ვთქვათ, ეჭვის ქვეშ აყენებს და მიაჩნია, რომ ეს ოდენ სარეკლამო ტრიუკია, და თანაც, არცთუ ორიგინალური. ამ საკითხის გარკვევისათვის არქივებში გაძლიერებული ჩხრეკაც, ჯერჯერობით, უნაყოფო აღმოჩნდა „ვინექსპორტის“ დირექტორის მოადგილე ა. სეჩენოვის სიტყვით არანაირი ცნობები მეფის გენერალ გორბაჩოვზე და მის არაყზე არ ჰქვანებს. „ღმერთმანი, რა არაყია ამისთანა? ვერაფერს მივაგენით: არც სასმელის რეგისტრაციის ცნობა, არც დამზადების რეცეპტი“ — საგონებელში უნუგეშოდაა ჩავარდნილი ამხ. სეჩენოვი.**

**მაგრამ, სადა სამართალია, უნდა ითქვას, რომ მოადგილემ კარგად დააგემოვნა არაყი და არც მისი ზემოქმედებით დარჩენილა უკმაყოფილო... თუმცაღა ეს საქმეს არ ცვლის და საბჭოთა ფირმაც „ფხვდორუსული გორბაჩოვის“ წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადება....**

# მცირე ინფორმაცია და მოკლე კომენტარი

**ჯერ მცირე ინფორმაცია: ქუჩები იცვლიან სახელს**

„**საქალაქო** საბჭოს აღმასკომმა გაითვალისწინა საზოგადოებრივი აზრი, მოსახლეობის სურვილები და გადაწყვიტა:

ეწოდოს **კუტუზოვის** ქუჩას — **ივერიელის** სახელი, **ძერჟინსკის** ქუჩას — **იესო ნაზარეველის** სახელი, კომკავშირის ქუჩას — **ლაზის** სახელი, **მარქსის** ქუჩას — **რევაზ თაბუკაშვილის** სახელი, ლენინის ქუჩას — **კოლხეთის** სახელი“.

**საქალაქო საბჭოს აღმასკომი.**

(საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო — გაზეთი „მებრძოლი“, 18 ოქტ. 1990 წ.).

**ჩვენი მოკლე კომენტარი:**

რასაკვირველია, მივესალმებით, სავსებით ვიწონებთ იმ ფაქტს, რომ ქალაქ ზუგდიდში **მარქსის** ქუჩას ეწოდა ჩვენთვის ძვირფასი **რევაზ თაბუკაშვილის** სახელი!

ასევე, სავსებით ვიწონებთ იმ ფაქტს, რომ **ლენინის** ქუჩას დაერქვა **კოლხეთის** ქუჩა!

რასაკვირველია, სრულიად ზედმეტი იყო ზუგდიდში (ისევე, როგორც მთელ საქართველოში) კუტუზოვისა და ძერჟინსკის ქუჩები. დღეის ამას იქით ზუგდიდში მათი სახელობის ქუჩები აღარ იარსებებს. როგორც ვნახეთ, გადაწყდა, რომ კუტუზოვის ქუჩას ეწოდოს ივერიელის სახელი. ვითომ ძნელი იყო ამ ქუჩას ივერიელის კი არა, ანთიმოზ ივერიელის სახელი დარქმეოდა? ან ანთიმოზი ხომ აზუსტებს იმ ფაქტს, რომ ქუჩას დაერქვას არა თითქმის აბსტრაქტული, ზოგადი ივერიელის, არამედ კონკრეტულად დიდი განმანათლებლის, მესტამბის, მწერლის, მხატვრის, რუმინეთის საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწის ვლახეთის მიტროპოლიტის **ანთიმოზ ივერიელის** (ანთიმ ივერიანუს, 1650-1716) სახელი. სხვათა შორის, ამ დიდ მოღვაწეზე სტატია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში შეგიძლიათ იხილოთ სწორედ სათაურით „ანთიმოზ ივერიელი“ (I ტ.) და არა სათაურით „ივერიელი“.

კომკავშირის ქუჩას ლაზის სახელი ეწოდა. კეთილი და პატიოსანი! ლაზიც ლამის აბსტრაქტული და ზოგადი სახელია. ქუჩას უნდა დარქმეოდა **იოანე ლაზის** სახელი. ამით დაკონკრეტდებოდა, რომ ქუჩას ეწოდა სახელი ქართველი ფილოსოფოს-თეოლოგისა, პეტრე იბერის თანამოაზრისა და მეგობრისა, რომელიც ცხოვრობდა საქართველოსა და კონსტანტინოპოლში, პეტრე იბერთან ერთად მიიჩნევენ არეოპაგიტიკის ავტორად.

ვფიქრობ, სავსებით იოლი საქმეა, რომ იმ ქუჩას ლაზის კი არა, **იოანე ლაზის** სახელი ეწოდოს.

ძერჟინსკის ქუჩის არსებობა, რასაკვირველია, დღეს არა მარტო საქართველოში, არამედ თვით რუსეთშიც კი შეუწყნარებელია, მაგრამ მიზანშეწონილად არ მივაჩნია ქუჩას ეწოდოს იესო ნაზარეველის სახელი. ცოტათი ღიმილის მომგვრელი ხომ არაა, რომ საქალაქო საბჭოს აღმასკომი არქმევდეს ქუჩას იესო ნაზარეველის — იესო ქრისტეს! — სახელს? მეტისმეტად წარამარა ხომ არ იტრიალებს ღვთის სახელი ამავე აღმასკომის ქუჩის კომიტეტის თუ ჩვენი ცოდვა-ბრალიანი ცხოვრებისგან გულშეჭირვებული მოქალაქეების გადაწყვეტილებებში, დადგენილებებში, საჩივრებში და ა. შ. ვფიქრობთ, რომ ქუჩისთვის იესო ნაზარეველის — იესო ქრისტეს სახელის დარქმევა გაუმართლებელია. ჩვენის აზრით, საქალაქო საბჭოს აღმასკომს ამ დადგენილების შეცვლა ევალება არ ჩაეთვლება.

ჯუმბერ თითმერია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზაჯვარედინები...

(დასასრული)

უზარიანიც — მხოლოდ ერთი რამ არის: სუსტი დიქტატურა და დიქტატორი, რომელსაც მასისათვის სხვა გამარჯვების მოტანა არ ძალუძს გარდა თვით ამ მასაზე გამარჯვებისა. ასეთ დიქტატურას მხოლოდ ერთი გზა აქვს — გზა სისხლით გალიპულ ბეწვის ხიდზე სიარულისა ფეხის პირველ წაცდომამდე, მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრით და ზოგადეროვნული ინტერესების სრული იგნორირებით.

ამგვარად, ტრაგიკული დიქტატურისა გარდა ტრაგიკომიკური დიქტატურაც არსებობს: ნაპოლეონისა და სტალინის გარდა ისტორია ნერონსაც იცნობს, ხოლო თანამედროვეობა — წვრილწვრილ დიქტატურებს მსოფლიოს მივარდნილ პროვინციებში, რომლებიც ბედნიერმა კაცობრიობამ ისევე შეიძლება მიივიწყოს ათეულ წლობით, როგორც კუნძულ ჰაიტის დიქტატურა მიივიწყა.

საქართველოსთვის ასეთი პერსპექტივა გამორიცხულია და ამ მხრივ, ალბათ, შეგვიძლია დაწყნარებულნი ვიყოთ აწ და მარადის. ქართველი ის კაცი არ არის (ასე ვიცით ბალღობიდან), რომ დიქტატურა აიტანოს, და თუ ჩვენში დღეს სოციალიზმი სუფევს, ეს მხოლოდ უცხო ჯარის დგომის შედეგია, (ხომ დიდი ხანია ვიცით, რომ ამ ჯარის გარეშე საქართველოში „სოციალიზმი“ მხოლოდ პირველი მილიციელის პირველ დასტვენამდე, ანუ სახელმწიფოს მიერ თავისი დათრგუნვითი ფუნქციის პირველ გამოყენებამდე გაძლებს). მაგრამ ამ ოლიმპიური სიმშვიდის ფონზე მაინც შეგვიძლია ჩვენი უახლესი ისტორიის ერთი დეტალი შევიხსენოთ.

ამ სამოცდაათი წლის მანძილზე ქართველმა ხალხმა უცხოთა დიდი გავლენა განიცადა. საბედნიეროდ, ეს გავლენა წამლეკავი არ აღმოჩნდა. ჩვენ მას გავუძელით, მაგრამ რაღაცა ზარალი ჩვენს ცნობიერებას მან მაინც მიაყენა. ჩვენი ჩრდილო მეზობელი ისტორიულად მიჩვეულია სახელმწიფოს საერთო ინტერესების დაცვას არა თავისუფლად მოაზროვნე და არჩევანის მომხდენი მოქალაქეების შეგნებული პირადი აქტივობის საფუძველზე, არამედ სხვისადმი, სახელდობრ, მმართველისადმი უკრიტიკო დამორჩილების საფუძველზე. იქ, იმ დიდ ქვეყანაში მასის ამგვარმა პოზიციამ თავისი ნაყოფი მოიტანა, რომელიც ახლაღა იწყებს გამწარებას; ამ პოზიციამ რამდენიმე საუკუნის მანძილზე უკეთ იმუშავა, ვიდრე, ალბათ, სხვა, დემოკრატიული პოზიცია იმუშავებდა: მან შექმნა იმპერია, რომელიც მისი მპყრობელი ერის ხასიათსა და ბუნებრივ მიდრეკილებას შეესატყვისებოდა. სავალალოა, მაგრამ, ვშიშობ, ფაქტია, რომ იმ ერის თვისებები რაღაცა დოზით (ვიმეორებ: საბედნიეროდ, არც თუ დიდი დოზით) ჩვენც გადმოგვედო იმის გამო, რომ ათეული წლობით მათ მიერ შექმნილი და მათ თვისებებზე მორგებული სოციალური წყობის პირობებში ვცხოვრეთ. ეს ის სოციალური წყობა გახლავთ, რომელიც უფრო მეტად უწყობს ხელს ადამიანში პოლიტიკური აქტივობის ყველა საწყისის ჩახშობას, ვიდრე რომელიმე სხვა წყობა კაცობრიობის ისტორიის მანძილზე. დღეს ამ პირობებში ჩვენ დიდი ხიფათი გველის, რომ ამ გავლენის კარნახით დავივიწყოთ ის, რაც ჩვენი არსებობის საფუძველი იყო ყოველთვის [illegible] დღესაც: რომ ჩვენი [illegible] დი ყოველი ჩვენგანის ხელშია და არა ჩვენი ყველასი ერთად, როგორც ერთ მმართველს აყოლილი უკრიტიკო მასის ხელში. დღემდე ეს არ მოხდა და, ალბათ, არც ოდესმე მოხდება. მაგრამ ხიფათი კი არსებობს და მის წინაშე ფხიზლად ყოფნა გვმართებს.

დავუბრუნდეთ ჩვენი არჩევნების თემას. ახალ უზენაეს საბჭოს ძალიან დიდი და ძნელი ამოცანები აქვს წინ. მისი მოპირდაპირეა არა მხოლოდ შინაგანი ძალები, რომელთაც ჩვენში სოციალური თავისუფლების დამყარება არ უნდათ, არამედ გარეშე ძალებიც. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საერთოდ და უზენაესი საბჭოს პატრიოტულ უმრავლესობასაც კერძოდ საშინაო გამარჯვების შემდეგ ახლა საგარეო გამარჯვებათა მოპოვება ჰმართებს!

## თვალსაზრისი

ლევან სანიკიძე

# რა აზრით მოვასვენებთ ნეშთსა მეფისა სოლომონისასა საქართველოდან საქართველოში?!

დამასვენე, შე ქრისტიანო!..

კონსტანტინე გამსახურდია.
„[illegible]ართან შეხვედრა“.

ვინ მოთვლის, რამდენი ქართველი განისვენებს საქართველოს გარეთ, **უცხო** მიწაში, მათ შორის ბევრიც თავისი **საუცხოო** წუთისოფლით სახელგანსმენილი და ბოლოს მაინც **უცხო** მიწად „**გაუცხოებული**?!“

რამდენი ქართველი (მათ შორის, „**დიდი**, „**საუცხოო**“) დაწოლილა და დამიწებულა აზიის თუ ევროპის „საუცხოო სასაფლაოებზე“!

მაინც, რამდენიმე დავასახელოთ:

გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძენი — პეტრიწონში (ბულგარეთი);

დიდი მთაწმინდელნი, იოანე, თორნიკე, ექვთიმე, გიორგი — ათონის მთაზე (საბერძნეთი);

მეფენი, როსტომ და ვახტანგ მეხუთე — ყუმში (ირანი. სადაც დასაფლავებული არიან, აგრეთვე, შაჰ აბასი და აიათოლა ჰომეინი);

მეფე ერეკლე პირველი — ისფაჰანში (ირანი);

სულხან-საბა და არჩილ მეფე — მოსკოვში (რუსეთი);

სრულიად ქართული, ბაგრატიონული კოლონია — იქვე (რუსეთი);

პოეტი ბესიკი — იასაში (რუმინეთი);

მეფენი, ვახტანგ მეექვსე და თეიმურაზ მეორე — ასტრახანში (რუსეთი);

სოლომონ დოდაშვილი — ვიატკაში (რუსეთი);

გადახვეწილ ქართველთა ნეკროპოლისი — ლევილში (საფრანგეთში).

ახე რომ, — ჩვენ მხოლოდ ისინი დავასახელეთ, რომელთა მიგნება (თუ მონდომება იქნება) დღესდღეობით კიდევ შესაძლებელია.

თანაც, ვასახელებთ ისეთ ადგილებს, რომლებიც იქ დაკრძალულ ქართველთათვის სწორედ **უცხოეთია** და ამდენად **აზრი აქვს** კიდეც მათ გადმოსვენებას საქართველოში.

მაგრამ, როცა „**უცხოეთზე**“ (მით უფრო, „გაუცხოებულ საფლავებზე“) სიტყვას ჩამოვაგდებთ, უკვე **შეპყრობილიც ვართ**, იქვე უფრო დაზუსტებით გავარკვიოთ, რა არის ჩვენთვის უცხოეთი, ანუ რომელი მიწა, დედამიწის რომელი ნაწილი, რომელი „ქვეყანა“ ჩაითვლება ჩვენთვის „უცხოდ“, „უცხოეთად“, ან პირიქით — „ჩვენად“, „ქართულად“, „მშობლიურად“.

და, უცებ, აქვე უნდა გაგვახსენდეს, რომ ერთ დროს სრული და მთლიანი საქართველოს, სულ ცოტა, **ნახევარი მაინც**, დღევანდელი საქართველოს **საზღვრებს გარეთ** გახლავთ.

დიახ, სწორედ ანბანურია ეს ჭეშმარიტება (გნებავთ, უბედური ჭეშმარიტებაც და ჭეშმარიტი უბედურებაც): ტერიტორიულადაც და მოსახლეობითაც დღეს, სულ ცოტა — **ნახევარი საქართველო საქართველოს გარეთაა.**

და, გვეძლევა ჩვენ ზნეობრივი უფლება, რომ ჟამთა უკუღმართობით განკვეთილი საქართველოს გარეთ დარჩენილი საქართველო უკვე **უცხოეთად** მივიჩნიოთ, უტყუარ-ისტორიულ ქართულ მიწებს „ქართული“ მოვხსნათ და იქაურ მოძმეებსაც „ქართველობის“ ნაცვლად „უცხოელები“ დავარქვათ?!

სანაცვლოდ, ეს ორი მხარე დავასახელოთ — აღმოსავლეთით აზერბაიჯანი და დასავლეთით თურქეთი. პირველმა ძველი ქართული ჰერეთი (მერმინდელი „საინგილო“) მიირთვა (წყეულმა ორჯონიკიძემ რომ მიართვა!), მეორემ კი, მთელი სამხრეთ-დასავლურ ქართული სამყარო, მტკვრის ზემო წელიდან ჰალისამდე (ყიზილ-ირმაკი), თითქმის სინოპამდეც (გავიხსენოთ საისტორიო ანბანი: ქვეყანა — სამკვიდრებელი ჯერ ხეთების, შემდეგ ქართველურ ტომთა — ხალიბების, მოსინიკებისა, სანიკებისა, კოლხებისა, შკვითინებისა, ტიბარენებისა, მაკრონებისა, ბეხირებისა, ტაოხებისა, სპერთა, ჰანთა და ლაზთა). და, ვითომ, აღარც საინგილო და აღარც დიდი ჰანეთ-ლაზეთი საქართველო აღარაა და უკვე ასე, ხელმოთავებულად, უცხოეთია?!

ღმერთმა დაგვიფაროს! ეჭვი, ეჭვია, მაგრამ მე ასეთ მკრეხელურ ფიქრსაც ვერვის დავაბრალებ.

მაგრამ, აი, საფლავებზე რომ მიდგა საქმე, მაშინ კი ძალაუნებურად აიშალა ასეთი საფიქრალნი და საკითხავნი.

მართლაც და, უკეთუ ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ დღევანდელი, გარე თუ შინა ძალმომრეობით დამცრობილი და შეკუმშული საქართველოს გარეთ დარჩენილ საქართველოს (აც) საქართველოდ ვთვლით და უკვე იგი „უცხოეთის“ სახელდებით არ გავიწირავს, მაშინ **რა აზრი აქვს** (ან რა აზრი მიეცემა) „იმ“ საქართველოში დაკრძალული ქართველის „ამ“ საქართველოში გადმოსვენებას?!

ვთქვათ, აზრი ჰქონდა ნიკოლოზ ბარათაშვილის გადმოსვენებას განჯიდან (და ამისთვის კურთხეულ არს სული ილია ჭავჭავაძისა!), მაგრამ არ ექნებოდა აზრი (ან ცუდი აზრი და შინაარსი შეეძინებოდა), უკეთუ იგივე ბუმბერაზი ქართველი საინგილოში დაკრძალულიყო და იქიდან გადმოგვესვენებინა). ასევე, სამაგალითოდ, აზრი ჰქონდა მიხეილ თამარაშვილის გადმოსვენებას იტალიიდან (და ამისთვის კურთხეულ არს სული რეზო თაბუკაშვილისა!), მაგრამ არავითარი აზრი არ ექნებოდა (ან ცუდი აზრი მიეცემოდა) იგივე მოღვაწის საფლავის აშლას და გადმოსვენებას, ვთქვათ, ტრაპიზონიდან.

დიახ, და იმ სათქმელსაც მივადექით, რამაც ავტორს ამ წერილის დაწერა უკარნახა, მკაცრი კარნახით.

ჯერ, ეს უნდა ითქვას ხაზგასმით: მართლაც ღვთაებრივი მადლია ცოცხალთათვის საერთოდ საფლავთა და მით უფრო დიდ, გამორჩეულ, სრულიად ერისათვის სალოცავ სამაროვანთა არდავიწყება, მათზე ზრუნვა და მოვლა-პატრონობა. ამიტომ შესაფერისი მადლობაც უნდა მივუძღვნათ ყველას, ვინც ტრაპიზონს დაკრძალული უკანასკნელი ქართველი მეფის, სოლომონ მეორის საფლავი გაიხსენა და მასზე ზრუნვისთვის თავი გამოიდო.

მაგრამ ზრუნვაც არის და ზრუნვაც. საგანგებოდ შექმნილმა კომისიამ სოლომონ მეფის აწ მოშლილი სამარხის აღდგენა და მასზე სისტემატიური პატრონობა საკმარისად არ მიიჩნია და გადაწყვიტა, რომ მეფის ნაშთები ტრაპიზონის სამაროვანიდან საერთოდ ამოასვენოს და საქართველოში წამოასვენოს.

აი, ამას ჰქვია სწორედ **გადმოსვენება საქართველოდან საქართველოში.**

გთხოვთ, ნუ გავაუბრალოებთ: ლაპარაკია, არა ადგილობრივ, ლოკალურ საფლავთა ჩვეულებრივ ადგილმონაცვლეობაზე, არამედ დიდ, ეროვნული ისტორიისთვის და მომავლისთვის სანიშანსვეტო სამაროვანთა გაუმართლებელ (იქნებ, საზიანო) „მიგრაციებზე“.

კვლავ გავიხსენოთ, — იქაც ხომ საქართველოა, იქაც ხომ ქართველობაა, თანაც რიცხვით არანაკლები, ვიდრე ჩვენ, „შიგნით საქართველოში“. სოლომონ მეფეც ხომ ყოველი ქართველისთვის, „იქეთურ-აქეთურის“ თუ „გაღმა-გამოღმა“ ქართველთათვის ერთნაირად მეფეა, ქართველი მეფე, ერთნაირად სანიშანსვეტოდ საფიქრებელი და სალოცავიც?!

ამიტომ, განა არა სჯობს, ხელი ავიღოთ „გაღმა-გამოღმა“ ქართველთა ერთიანი კერპის **წართმევაზე** და უფრო სწორედ ის ვამჯობინოთ, სალოცავი იგი, იქვე, ადგილზე აღვადგინოთ, იქ მივიდეთ ჩვენც („აქაური ქართველები“), მოვლენ ისინიც („იქაური ქართველები“), დავადგინოთ დღე „სოლომონობისა“ და ამ დღეს, ყოველ წელს სისტემატიური შეხვედრებით, **აღვიდგინოთ სული ერთიანი, განუყოფელი და განუკვეთელი ქართველობისა.**

სწორედ ეს იქნება **უდიდესი აზრი** სოლომონის საფლავისა და არა ის, რომ თითქოს მისი ძვლების ჩამოტანა ხელს შეუწყობს დღეს ჩვენში გათიშული ეროვნული ძალების „კონსოლიდაციას“ (!!!).

როგორადაც უნდა შემრისხონ, მაინც ვერ დავიჯერებ, რომ დღევანდელი ეროვნული მოძრაობის იმედი და სასოება ერთ დაკარგულ და დავიწყებულ საფლავში საძიებელი გამხდარიყოს.

ხოლო, იქ, სწორედ იქვე, „იმ საქართველოში“, უკვე „**ყოველი საქართველოსათვის**“ აღდგენილ სოლომონის საფლავს მართლაც რომ **უდიდესი აზრი** შეიძლება მიეცეს.

უფრო მეტიც და უარესიც: უკეთუ არ დავიშლით, იმ სულკურთხეულ გვირგვინოსანს ადგილზე არ დავასვენებთ და მაინც აქეთ წამოვასვენებთ, ამით ჩვენ თვითონ ვიღებთ ხელს და ვავიწროებთ საქართველოს რეალურ-ისტორიულ სამანებს, ანუ ვურიგდებით ჯერ საერთოდ, სოციალ-დემოკრატთაგან (ილიას მკვლელთაგან) და მერე ორჯონიკიძისგან გახეიბრებულ საქართველოს ხივრცობრივად სულისშემხუთველ სინამდვილეს, და კიდევ — საერთოდ, ნიადაგს ვუშლით „ყოველი ქართველობის“ ყოველგვარ ფსიქოლოგიურ განცდა-გააზრებას, ცნობიერსაც და ქვეცნობიერსაც.

და კიდევ, ტრაპიზონიდან სოლომონის „მოტაცებით“: დღევანდელი ქართველობის შესავიწროებლად და ტერიტორიულად კვლავაც „შესაკუმშავად“ **ჩვენივე მიზეზით**, ახალი საპროვოკაციო საბუთი ეძლევათ სწორედ საქართველოს გარე და შინა მოსისხლე მტრებს, რადგან თუ არ დავიშლით, ჩვენ, ჩვენ თვითონ-მეთქი, უცებ ქართველი ხალხის კიდევ ერთი დაუძინებელი მტრის, ნიკიტა ხრუშჩოვის პოზიციაზეც კი აღმოვჩნდებით, — იმ ნიკიტუშკა „მესხიმინდისა“, რომელმაც სწორედ „მსოფლიო ქართველის“ ნათბილარი სავარძლიდან სწორედ მსოფლიოს გასაგონად ბრძანა, სიძულვილით და ნიშნის მოგებით: ქართველებს არავითარი ტერიტორიული პრეტენზიები არ გააჩნიათ, თვინიერ იმ საზღვრებისა, რომელთა შიგნით ახლა მე მყავს ისინი მომწყვდეულიო!.

აი, სადამდე მივდივართ და ვის წისქვილზე ვაპირებთ წყლის დასხმას!

აი, **რა აზრებს** ლებულობს, ბოლოს და ბოლოს, საფლავი ერთი მიკრო-მონარქისა, რომელიც იყო შეურიგალი რუსხელმწიფისა, რომელსაც ბოლოს გაექცა კიდეც — გაექცა „ამ“ საქართველოდან „იმ“ საქართველოში; იქვე დაასრულა თავისი წუთისოფელი, დაირეცა და დამიწდა, საქართველოდან გაქცეული, მაგრამ მაინც ქართულ მიწაში.

ეჭვი არ არის, თვითონ სოლომონისთვისაც, როგორც ყოველი ჭეშმარიტი ქართველისათვის, იქაც საქართველო იყო, იქაც ქართველთა გარემოში ცხოვრობდა და უკვე სიკვდილთან წილნაყარიც გრძნობდა, რომ მისი სხეული მაინც ქართულ მიწაში ესვენებოდა.

ხოლო, თუ სოლომონის „ამდენ მცოდნეობაშიც“ ეჭვს შევიტანთ, იმის უფლება მაინც არ გვეძლევა, რომ საქართველოს საისტორიო ბედისწერით მონიშნულ ამ საფლავს მისი **უდიდესი ეროვნული დანიშნულება** წავართვათ და დავუკარგოთ.

დანიშნულება კი სწორედ **ეროვნული ერთიანობა** (გნებავთ, „კონსოლიდაცია“!) გახლავთ. მაგრამ ერთიანობა არა მხოლოდ ლოკალური, თბილისის „მთავარი გამზირის მასშტაბით“, არამედ **ყოველი საქართველოს** მოცულობით.

ამიტომ, კი არ გადმოვასვენოთ, არამედ, ვიმეორებ, იქვე დავასვენოთ, მისი საფლავი კერპად აღვმართოთ, კერპად, რომლის წინაშეც, ყოველ წელს, ყოველ „სოლომონობა-დღეს“, ერთად იდღესასწაულებს ყოველი („გაღმა-გამოღმა“) ქართველი, ერთიანი ლოცვით, ერთიანი თრენოსით, სამომავლო „დავით-აღმაშენებლობაზე“ ფიქრით და ოცნებით.

აშკარად ჩანს, უფალმა, „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“, სოლომონ მეორედ წოდებულ ქართველ ხელმწიფეს საქართველოსთვის **დიდი ეროვნული დანიშნულება** მის ხსოვნას, მის საძვალეს დააკისრა.

მაშ, სოლომონ მეორე ახალ, გაცილებით დიდ ზოგად-საეროვნებო ცხოვრებას იწყებს. ხოლო, ჩვენ, ვინძლო ხელი არ შევუშალოთ...

თბილისი,
ქრისტეშობითგან 1990 წლის
5 ნოემბერი.

არის წიგნები, რომელთა შესახებაც ბევრს სმენია, მაგრამ ცოტას თუ წაუკითხავს. ამის მიზეზი სხვადასხვაგვარია. ზოგჯერ თვით ნაწარმოების სირთულე აფრთხობს მკითხველს (როგორც ილარიონ შევარდნაძე იტყოდა: „კარგია, მაგრამ ნამეტანი ხმამაღლაა დაწერილი“!), ზოგჯერაც ქვეშევრდომთა „სიმშვიდეზე მზრუნველი“ ხელისუფლება ართულებს ხელოვნურად მკითხველთან წიგნის მისვლის საქმეს...

ხელოვნურად „გართულებული“ ბედის წიგნებს მიეკუთვნება მარკიზ დ' კიუსტინის „ნიკოლოზ I დროინდელი რუსეთი“.

ცნობილმა ფრანგმა მოგზაურმა და ლიტერატორმა მარკიზ დ' კიუსტინმა 1839 წელს იმოგზაურა რუსეთში, რის შედეგადაც შეიქმნა დასახელებული ნაშრომი. მასში პირუთვნელად აისახა რუსეთის მაშინდელი პოლიტიკური, ეკონომიკური, მთლიანად საზოგადოებრივი ცხოვრების სურათი.

ბუნებრივია, რომ „შეურაცხყოფილ“ რუსეთში არ გამოქვეყნდა „ცილისმწამებელი“ ფრანგის „ყალბი წიგნი“. იგი რუსულად სრულად გამოიცა მხოლოდ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ (ქართულად 1935 წელს დაიბეჭდა). მიზანი მარტივი იყო — კიდევ ერთი დარტყმა მიეყენებინათ საძულველი ცარიზმისათვის.

მაგრამ, სადაც ჯერ არს, მალე მიხვდნენ, რომ ეს წიგნი „ურტყამდა“ არა მარტო ცარისტულ რუსეთს... მასში დახატული პირქუში სურათი სოციალისტურ „სამოთხესაც“ მიესადაგებოდა და, რასაკვირველია, იგი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა...

გთავაზობთ ფრაგმენტებს „ნიკოლოზ I დროინდელი რუსეთი“-დან. მათი კითხვისას მკითხველი კომენტარების, ზედმეტი ჩარევის გარეშეც გააკეთებს საკუთარ დასკვნებს, ნახავს, თუ რატომ არის მიჩქმალული ათეული წლების განმავლობაში ეს, დღესაც რომ სწორედ აქტუალური წიგნი.

მცირე კომენტარის სახით ერთი რამ კი მაინც უნდა ითქვას: კიუსტინი ზოგჯერ რუსების, რუსი ერის არცთუ თავაზიან დახასიათებას იძლევა, რასაც, რასაკვირველია, ვერ გავიზიარებთ. თუ ერთი ნათქვამის პერიფრაზს მივმართავთ, არ არსებობენ ცუდი და კარგი ერები, არსებობენ ცუდი და კარგი ადამიანები.

ფელიქს კოჭიაშვილი

## მარკიზ დ' კიუსტინი:

# რუსეთი-უაზრო ფორმალობის ქვეყანა

ყველა უცხოელი, რუსეთის საზღვარზე მოსული, წარმოდგენილია წინასწარ, როგორც ბოროტმოქმედი.

სრულიად უმნიშვნელო და ზედმეტი გამაფრთხილებელი ზომების სიუხვე საბაჟოში ჩხრეკის დროს აუცილებელს ხდის ყოველგვარი მოხელეების უამრავ რიცხვს. თითოეული მათგანი თავის საქმეს ისეთი პედანტიზმით, რიგორიზმით და თავხედობით ასრულებს, რომელსაც მხოლოდ ერთადერთი მიზანი აქვს — მიეცეს განსაზღვრული მნიშვნელობა თვით ულრესად პატარა მოხელესაც კი. იგი თავის თავს ნებას არ აძლევს ერთი ზედმეტი სიტყვა წარმოსთქვას, მაგრამ ცხადად ჩანს, რომ განმსჭვალულია თავისი სიდიადის შეგნებით — „პატივისცემით მომეპყარით, მე დიდი სახელმწიფო მანქანის ნაწილი ვარ“. ხოლო სახელმწიფო მექანიზმის ეს ნაწილები, რომელნიც ბრმად ასრულებენ სხვის ნებას, მხოლოდ საათის პატარა ბორბლებს მოგვაგონებენ, — რუსეთში კი მათ ადამიანებს უწოდებენ. როდესაც ამ ავტომატებს ვუყურებდი, მე ტანში ჟრუანტელი მივლიდა. რამდენი არაბუნებრიობაა ადამიანში, რომელიც უსულო მანქანად არის გადაქცეული. თუ რომ იმ ქვეყნებში, სადაც მანქანები უხვადა მოიპოვება, თვით ხე და ლითონიც სულიერ საგნებად გვეჩვენება, პირიქით, დესპოტიზმით დაჩაგრულ ქვეყნებში ადამიანები ხისაგან შექმნილად გვეჩვენებიან. ძალაუნებურად ჰკითხავ შენს თავს, რაში უნდა გამოიყენონ მათ სრულიად ზედმეტი გონება და უეცრივ გრძნობ სასოწარკვეთილებას, როცა ფიქრობ, თუ რამდენი ძალა და ძალმომრეობაა საჭირო, რომ ცოცხალი ადამიანები უსულო ავტომატებად გადააქციო. რუსეთში მე საბრალოდ ვგრძნობდი ადამიანებისადმი, ისე, როგორც ინგლისში ვერიდებოდი მანქანებს. იქ, ამ ადამიანურ ხელთა ქმნილებებს მხოლოდ სიტყვა აკლდა, აქ კი იგი სრულიად ზედმეტი იყო სახელმწიფოს მიერ შექმნილ ცოცხალ მანქანებისთვის.

* * *

რუსების... თვითკმაყოფილება ჰავაზე და ნიადაგზეც კი ვრცელდება. ბუნებით მკვეხარები, ისინი ამაყობენ თავისი ადგილმდებარეობით სწორედ ისევე, როგორც მათ ირგვლივ არსებული საზოგადოებით.

* * *

...ასეთ პირობებში მეტად მძიმეა რაიმე სერიოზული ლიტერატურის შექმნა. „მშვიდობა“ და „ბედნიერება“ აქ ისევე გაურკვეველია, როგორც სიტყვა „სამოთხე“. გამოუფხიზლებელი სიზარმაცე და მოუსვენარი უსაქმობა — ასეთია ჩრდილოეთის ავტოკრატიის აუცილებელი შედეგი.

* * *

უნდა იცხოვრო ამ მოუსვენარ უდაბნოში, ამ დაუსვენებელ ციხეში, რომელსაც რუსეთი ეწოდება, რომ იგრძნო ევროპის ხალხთა თავისუფლება, რანაირიც არ უნდა იყოს იქ მმართველობის წესწყობილება... ეს მოგზაურობა სასარგებლოა ყველა ევროპელისათვის. ყველა, ვინც ახლოს გაეცნობა მეფის რუსეთს, მოხარული იქნება იცხოვროს სხვაგან, რანაირიც არ უნდა იყოს ეს ქვეყანა.

* * *

... უცხოელების ასეთ ზიზღს რუსეთისადმი ხშირად ხელს უწყობენ თვით რუსები, რომელნიც მონურად ქედს იხრიან დასავლეთის წინაშე. რუსეთის დამოკიდებულებაში თავიანთი სამშობლოსადმი საქმე თავმდაბლობაა ჩაქსოვილი, მაგრამ როდესაც ეს თავმდაბლობა საკუთარი თავის უარყოფას საზღვრავს, იგი ბოროტებად იქცევა. როდესაც უცხოელი ხედავს რუსი ხალხის ასეთ დამოკიდებულებას სამშობლოსადმი, იგი მაშინ პატივს აღარ სცემს მას.

* * *

რუსებს სხვადასხვაგვარი სახის გამომეტყველება აქვთ იმისდამიხედვით, ევროპაში მიემგზავრებიან თუ სამშობლოში ბრუნდებიან. რუსეთიდან მომავალნი ისინი მხიარულნი არიან, ბედნიერნი და კმაყოფილნი. ისინი ფრინველებს ჰგვანან, გალიიდან თავისუფალ ჰაერზე გამოშვებულებს. მამაკაცები, ქალები, მოხუცნი და ახალგაზრდები, — ყველა ბედნიერები არიან, როგორც მოწაფეები ზაფხულის არდადეგებში.

რუსეთში დაბრუნების დროს იგივე ხალხი სახედალვრემილია და ჩაფიქრებული, მას ლაპარაკი მკაცრი აქვს და ნაწყვეტ-ნაწყვეტი, საერთოდ კი ყველაფერში რაღაც მოუსვენრობა ეტყობა. ამ განსხვავებიდან მე ის დასკვნა გამოვიტანე, რომ ქვეყანა, საიდანაც ასეთი სიხარულით მოდიან და სადაც ასე უგულოდ ბრუნდებიან, არ შეიძლება იყოს სასიამოვნო ქვეყანა.

* * *

იმ მოწყენილობამ, რომელიც გამოიწვია ჩემში უაზრო და წვრილმანმა საბაჟო ფორმალისტიკამ, საშუალება მომცა კიდევ ერთი დაკვირვება მომეხდინა: რუსი კარისკაცები ძალიან მძიმედ ეგუებიან რუსეთის საზოგადოებრივი წესწყობილების ყველა უხერხულობას, როდესაც ეს უკანასკნელი პირადად მათ ეხება.

„რუსეთი — სრულიად უაზრო ფორმალობის ქვეყანაა“ — ჩასჩურჩულებდნენ ისინი ერთმანეთს ფრანგულად, რათა ეს მათ ირგვლივ მყოფ მოხელეებს არ გაეგონათ.

* * *

ეს მოსახლეობა, შემდგარი ავტომატებისაგან, მოგვაგონებს ჭადრაკის ფიგურებს, რომელნიც მოძრაობაში მოჰყავს მხოლოდ ერთ ადამიანს, და ამ უკანასკნელს თავის უხილავ მოწინააღმდეგედ მთელი კაცობრიობა ჰყავს წარმოდგენილი.

* * *

რუსული სახელმწიფოებრივი წესწყობილება, ეს სასტიკი სამხედრო დისციპლინაა ნაცვლად სამოქალაქო მმართველობისა; ეს — პერმანენტური სამხედრო მდგომარეობაა, რომელიც აღიარებულია სახელმწიფოს ნორმალურ მდგომარეობად.

* * *

მე რუსებს არ ვკიცხავ იმისათვის, ასეთნი რომ არიან, მაგრამ ვგმობ მათს სურვილს, თავი ევროპელებად მოგვაჩვენონ. ისინი ჯერ კიდევ სრულიად უკულტურონი არიან, მაგრამ შეიძლებოდა იმედი არ დაგვეკარგა მათ მიერ კულტურის შეთვისებისა, ისინი რომ მაიმუნებივით არ ბაძავდნენ სხვა ერებს და იმავე დროს არ დასცინოდნენ მათვე, ვისაც ბაძავენ. კაცი ძალაუნებურად იფიქრებს, რომ ეს ხალხი დაკარგულია პირველყოფილი მდგომარეობისათვის და უვარგისია ცივილიზაციისათვის.

* * *

რუსეთში ამა თუ იმ მინისტრის შერისხვის დღეს მისი მეგობრები უნდა დამუნჯდნენ და დაბრმავდნენ. ადამიანი უკვე დამარხულია მაშინვე, რა წამსაც მას თითქოს მეფის წყალობა მოაკლდება. ვამბობ „თითქოს“-მეთქი, რადგანაც ველარავინ ბედავს ლაპარაკს იმის შესახებ, ვისაც ეს საწყალობელი ბედი ხვდა. ამიტომ რუსეთმა არ იცის, არსებობს თუ არა დღეს მინისტრი, რომელიც გუშინ განაგებდა მთელ სახელმწიფოს.

* * *

რუსეთის ისტორიაში, არავინ, მეფის გარდა, არ ასრულებდა იმას, რაც მის მოვალეობას და პირდაპირ დანიშნულებას შეადგენდა, — არც თავად-აზნაურობა და არც სამღვდელოება. დამონებული ხალხი მუდამ ღირსია თავის მონობის: ტირანია თვით დამონებული ხალხის ქმნილებაა. და ვიდრე 50 წელიწადი გაივლიდეს, ან მთელი ცივილიზაცია მოჰყვება ამ ბარბაროსების უღელქვეშ, ანდა რუსეთში იფეთქებს რევოლუცია, გაცილებით უფრო საშინელი, ვიდრე ის იყო, რომლის შედეგებსაც დასავლეთი ევროპა დღემდე გრძნობს.

* * *

არც ერთ უცხოელს არ შეუძლია გადალახოს რუსეთის საზღვრები უიმისოდ, რომ არ განიცადოს ულრესად სასტიკი გამოძიება და მკაცრი კრიტიკა — „იგი სერიოზული ადამიანია და ამიტომ შეიძლება საფრთხეს წარმოადგენდეს“. „ზიზღი დესპოტიზმის წინააღმდეგ, — ამბობენ აქ, — გაბატონებულია საფრანგეთში ჯერ კიდევ გამოურკვევლად, რადგანაც არ იციან დანამდვილებით, თუ რა ხდება ჩვენში. მაგრამ, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს ნდობის ღირსი მოგზაური აუწყებს ყველას იმ რეალური საშინელების შესახებ, რომელიც არ შეიძლება თვალში არ ეცეს მას, მაშინ ჩვენ სწორედ ისე დაგვინახავენ, როგორიცა ვართ სინამდვილეში. საფრანგეთი ჯერ არ გვიცნობს და გვიყეფს; როდესაც გაგვიცნობს, იგი კბენას დაგვიწყებს“.

* * *

რუსებს მხოლოდ სახელწოდება აქვთ ყველაფრის, მაგრამ სინამდვილეში არაფერი აქვთ. რუსეთი ფასადების ქვეყანაა. წაიკითხეთ ეტიკეტები, — მათ აქვთ ცივილიზაცია, საზოგადოება, ლიტერატურა, თეატრი, მეცნიერება, ხელოვნება... სინამდვილეში ექიმებიც კი არ ჰყავთ. საკმარისია ავად გახდეთ, მაგალითად, ციებით, და თქვენ თვითონ უნდა უწამლოთ თავს, ანდა უცხოელი ექიმი მოიწვიოთ.

* * *

ამგვარი საზოგადოებრივი წესწყობილება არსად არ არის შესაძლებელი გარდა რუსეთისა, მაგრამ რუსი ხალხიც არ იქნებოდა ისეთი, როგორიც არის, მას რომ სხვა საზოგადოებრივი წესწყობილების დროს ეცხოვრა.

* * *

რუსები რომაელებს ჰგვანან სხვა მხრივაც. როგორც ამ უკანასკნელთ, მათაც მეცნიერება და ხელოვნება გარედან გადმოიღეს. მათ ბუნებრივი ჭკუა არ აკლიათ, მაგრამ ეს ჭკუა მიმბაძველია, და ამიტომ უფრო ირონიული, ვიდრე შემოქმედი. დაცინვა ტირანების და მონების დამახასიათებელი თვისებაა. ყოველი დაჩაგრული ხალხი ბოროტ სიტყვას, სატირას და კარიკატურას მიმართავს. სარკაზმებით იგი შურს იძიებს იძულებითი უმოქმედობისა და თავის დამცირებისათვის.

წარმოიდგინეთ ხალხი, გასამხედროებული და ძალით გაწვრთნილი და არა ჭეშმარიტად განათლებული, — და თქვენ მიხვდებით, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება რუსი ხალხი.

* * *

მოსკოველების ესოდენ განთქმული სტუმართმოყვარეობაც უადრისად ბრძნულ პოლიტიკად გადაიქცა. იგი მდგომარეობს იმაში, რომ რაც შეიძლება მეტად ასიამოვნოს სტუმრებს და რაც კი შეიძლება ნაკლები გულწრფელობა დახარჯოს. საუკეთესო რეპუტაციით ის მოგზაურები სარგებლობენ, რომელნიც უფრო ადვილად ტყუვდებიან. აქ თავაზიანობა მხოლოდ ხელოვნებაა, ერთმანეთს ის ორმაგი შიში დაუმალონ, რომელსაც თვითეული განიცდის. ყველგან და ყოველთვის აქ პირმოთნეობითი და ფარული სიმკაცრე მელანდება, უარესი, ვიდრე თათრების ბატონობის დროს იყო; თანამედროვე რუსეთი გაცილებით უფრო ახლოა მასთან, ვიდრე ჩვენ გვარწმუნებენ. ყველგან ლაპარაკობენ XVIII საუკუნის განმანათლებელი ფილოსოფიის ენით, და ყველგან წარმოუდგენელ ჩაგვრას ვხედავ. მე ასე მეუბნებიან: „რასაკვირველია, ჩვენი სურვილია, რომ ძალმომრეობა არ იყოს, ჩვენ მაშინ უფრო მდიდრები და ძლიერები ვიქნებოდით, მაგრამ, საუბედუროდ საქმე აზიურ ხალხთან გვაქვს“. და იმავე დროს ამის მთქმელნი ასე ფიქრობენ: „რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, რომ განვთავისუფლებულიყავით ლიბერალიზმსა და ფილანტროპიაზე ლაპარაკის აუცილებლობისგან, მაშინ ჩვენ უფრო ბედნიერნი და ძლიერნი ვიქნებოდით, მაგრამ საუბედუროდ საქმე ევროპასთან გვაქვს“.

* * *

რუსეთში შიში ცვლის, ანუ უკეთ, ახშობს აზრს. როდესაც შიშის გრძნობა ულრესადაა გამეფებული, მას შეუძლია მხოლოდ მოჩვენებითი ცივილიზაცია შექმნას. რაც უნდა ილაპარაკონ ბეცმა კანონმდებლებმა, შიში არასოდეს არ შეიძლება იყოს სული წესიერად მოწყობილი საზოგადოებისა, რადგანაც იგი წესრიგს კი არ ჰქმნის, არამედ ქაოსს ფარავს. სადაც თავისუფლება არ არის, იქ არც სულიერება და სიმართლეა. რუსეთი უსიცოცხლო სხეულია ანუ უკეთ — ბუმბერაზი, რომელიც მხოლოდ თავით ცოცხლობს. ყველა მისი სხეულის ასოები მოკვლებულნი არიან ძალას და თანდათან კვდებიან. აქედან წარმოსდგება ულრმესი მოუსვენრობა, რაღაც ძნელად გადმოსაცემი და მძიმე გრძნობა, რომელიც ყველას მოიცავს რუსეთში. [illegible] ფესვები ბუნდოვან [illegible] არ არის, ან მატერიალური [illegible] გრესით უკმაყოფილებაში, ანდა კონკურენციით გამოწვეულ შურში, როგორც ეს იყო ახლად მოვლენილ ფრანგ რევოლუციონერებს შორის; იგი წარმოადგენს რეალური ტანჯვის გამოხატულებას, ორგანული დაავადების სიმპტომს.

* * *

მე ვფიქრობ, რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ხალხს წარმოდგენა არა აქვს ნამდვილ ბედნიერებაზე. საფრანგეთშიც არ ვგრძნობთ თავს ბედნიერად, მაგრამ ვიცით, რომ ბედნიერება ჩვენზეა დამოკიდებული; რუსეთში ეს შეუძლებელია. წარმოიდგინეთ რესპუბლიკანური ვნებანი (რადგანაც კიდევ ვიმეორებ, რომ რუსეთის იმპერატორის ბატონობის ქვეშ მოჩვენებითი თანასწორობაა), აბობოქრებული დესპოტიზმის დუმილში. რუსეთი — ადუღებული წყლით სავსე ქვაბია, მაგრამ დახურული და დადგმული ცეცხლზე, რომელიც თანდათან უფრო ძლიერდება. მე მეშინია აფეთქების. და არა მარტო მე! იმპერატორიც განიცდიდა იმავე შიშს რამდენჯერმე თავისი მძიმე და ზრუნვით აღსავსე მეფობის ჟამს, (როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის დროს. ჩვენს ხანაში იმპერიები ემსგავსებიან მანქანებს, რომელნიც ჟანგდებიან უმოქმედობით.

* * *

ჭეშმარიტად, ეს ქვეყანა საკვირვლად ექვემდებარება ყოველგვარ მოტყუებას. მონები ბევრ ქვეყნებში ცხოვრობენ, მაგრამ თუ გსურთ იხილოთ სასახლის მონების ამდენი რაოდენობა, რუსეთში უნდა მოხვდეთ. არ იცი, რა უფრო გაიკვირვო: პირმოთნეობა, თუ წინააღმდეგობანი, გაბატონებული ამ იმპერიაში. ეკატერინე II არ მომკვდარა, ვინაითგან მისი შვილიშვილის პირდაპირი ხასიათის მიუხედავად, რუსეთს ძველებურად პირმოთნეობა განაგებს. ტირანიის გულწრფელი აღიარება წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა აქ.

* * *

კიდევ ვიმეორებ: რუსეთში ყველაფერი მხოლოდ სიცრუეა, და მეფის თავმდაბლობა, რომლის წყალობითაც მის მოვარაყულ დარბაზებში მონებს უშვებენ, მხოლოდ ზედმეტი დაცინვაა.

* * *

რა გინდ ვრცელი და უზომო იყოს ეს იმპერია, იგი მხოლოდ საპყრობილეა, რომლის გასაღები შენახული აქვს იმპერატორს. და თუ რაიმე შეედრება ქვეშევრდომთა უბედურებას, ეს თვით მონარქის მოსაწყენი მდგომარეობაა. ჩემის აზრით, ციხის დარაჯის სიცოცხლე არაფრით არ არის უკეთესი ტუსაღის სიცოცხლეზე. ამიტომ მე მუდამ მაკვირვებდა თავისებური გონებრივი შეცდომა, რომლის გამო პირველს უზომო თანაგრძნობის ღირსად მიაჩნია მეორე.

* * *

ამგვარად, რუსეთში ყველაფერი მონარქის პიროვნებაშია თავმოყრილი. იგი ტონს აძლევს ყველაფერს, ხოლო სასახლის ქორო ბანს ეუბნება მას. რუსის კარისკაცები მარიონეტებს მაგონებენ ულრესად მსხვილი ბაწრებით.

* * *

რუსეთში ადამიანმა არ იცის არც კულტურული ცხოვრების სიამოვნება, არც ველურის სრული და უხეში თავისუფლება და არც ბარბაროსის დამოუკიდებლობა და უპასუხისმგებლობა. იმას, ვისაც წილად ხვდა უბედურება ამ ქვეყანაში დაბადებულიყო, მხოლოდ ის დარჩენია, რომ თავი ინუგეშოს ამაყი ოცნებით და მთელ ქვეყანაზე გაბატონების იმედებით. ასეთ დასკვნამდე მივდივარ მუდამ; როცა ვცდილობ ანალიზი გავუკეთო რუსეთის მცხოვრებთა მორალურ მდგომარეობას. რუსეთი ცოცხლობს და აზროვნებს, როგორც დამპყრობელი არმიის ჯარისკაცი. ხოლო ყოველი ქვეყნის ნამდვილი ჯარისკაცი მოქალაქე კი არ არის, არამედ მუდმივი ტუსაღია, რომელიც განწირულია თავის ამხანაგებს უდარაჯოს უბედურებაში — ისეთივე ტუსაღთ, როგორც თვითონაა.

ალექსანდრა ფრონელი

# ვისი შვილი იყო შამილი?



ალექსანდრე ბატონიშვილი

**მარიამობისთვის** 25-ს, ზაფხულის მიწურულში 1909 წელს სადღესასწაულოდ იყო მორთული რუსეთის იმპერიის დიდი ქალაქები, მათ შორის თბილისი.

რუსეთის ხელისუფლება ზეიმობდა მთის ლეგენდარული გმირის შამილის დატყვევების 50 წლისთავს.

მხოლოდ ეს ფაქტიც საკმარისია იმის გასაცნობიერებლად, თუ რა დაუძინებელი და ძლიერი მტერი ჰყავდა რუსეთს შამილის სახით.

იგი იყო კაცი, რომელიც თავისი მცირერიცხოვანი თანამებრძოლებით 30 წლიწადს ებრძოდა რუსეთის უზარმაზარ იმპერიას; კაცი, რომელმაც მამულიშვილობის იშვიათი მაგალითი დაგვიტოვა.

იგი იყო თავისი დროისათვის უაღრესად განათლებული პიროვნება. იგი იყო ხერხემალში გადატეხილი კავკასიის უკანასკნელი იმედი. სამწუხაროდ, შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში რუსის გენერლებთან მხარდამხარ ქართველებმაც გამოიჩინეს თავი. არადა ვის ვებრძოდით?

იქნებ შამილი მართლაც ჩვენი სისხლი და ხორცი იყო, რაზედაც ამ წერილშია მოთხრობილი.

იქნებ არც იყოს სინამდვილე ის, რასაც აქ წაიკითხავთ, მაგრამ ერთი რამ ხომ უდაოა, მხოლოდ მონათესავე სულიერი წყობისა და ანთროპოლოგიის ხალხები შეიძლება ეცილებოდნენ ერთმანეთს ამა თუ იმ პიროვნებას.

აბა ბაგრატიონი და ივანოვი, თუ ის მართლაც ივანოვია, არავის აერევა ერთმანეთში...

### (წიგნიდან „მთის არწივი შამილი")

**საქართველოს** ტახტის მაძიებელი ბატონიშვილი ალექსანდრე ირაკლის ძე იქნებოდა ახე 28-30 წლისა, შამილი რომ დაიბადა ს. გიმრაში.

„დაუძინებელი მტერი რუსის მთავრობისა ბატონიშვილი ალექსანდრე არწივივით თავს დასტრიალებდა და ამბოხების ჰიაკოკონას ამზადებდა. მოუსვენარი ტახტის მაძიებელი ხან ერევნის სახანოში ამოჰყოფდა თავსა, ხან თვით სპარსეთში, ხან დაღესტანსა და ლეკეთში, ხან ახალციხის საფაშოში. ყველგან, სადაც-კი გაჩნდებოდა რუსეთის მოძულე ბატონიშვილი, სასურველი და სანეტარო სტუმარი იყო. მისი სტუმრობა და შფოთის ატეხა რუსის მართვა-გამგეობის წინააღმდეგ ერთი და იგივე იყო, ასე ვსთქვათ სინონიმი. ეტყობა, ან ქართველი კაცის სახელს, ან ბატონიშვილ ალექსანდრეს რაღაც უცნაური, მიმზიდველი და ანდამატური ძალა ჰქონია. ამ დღეებში (1904 წელს) რუსის სამსახურის პოლკოვნიკმა, აწწუხელ ლეკმა ღიმილითა და თავმომწონეობით მიამბო. ბატონიშვილი ალექსანდრე დაღესტანს რომ ამოვიდოდა ხოლმე, ჩვენს ოჯახში თურმე დასდებდა ბინასაო. კარგად მახსოვს, — ბავშვობა-სიყმაწვილეში ზღაპარსავით მიამბობდნენ, თუ სად ისვენებდა და რომელ ოთახში იძინებდაო. დრო და ჟამმა თავისი გაიტანა, ალექსანდრეს ნადგომი ოთახები დაინგრა სიძველისა გამო. დაიფუშა იმ ორი ხის ყუთიც, სადაც ბატონიშვილის ნივთები ელაგაო. ეს კი ლამაზად მახსოვს, რომ დიდი მოწიწებით და სიყვარულით ინახავდნენ ჩვენს ოჯახში ამ უბრალო ყუთებსა და უფრთხილდებოდნენ ნიშნად პატივისცემისა ძვირფას სტუმრის ნაქონარ ნივთებსაო"*

აქ მოყვანილი ამონაწერი ნათლად გვიჩვენებს, რომ ბატონიშვილი ალექსანდრე ხშირი სტუმარი ყოფილა დაღესტნისა.

მაშასადამე სრულიადაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ახალგაზრდა ბატონიშვილს, ჯანითა და ღონით სავსეს, ოცდა რვა, ან ოცდა ათის წლის უცოლშვილო ჭაბუკს კავშირი ჰქონდეს რომელსამე ლეკის ქალთან და შედეგად ასეთის დროებით კავშირისა გასჩენოდეს შვილი დაღესტანში.

ჩვენი მთა თურმე დღესაც სავსეა სხვა და სხვა თქმულებით ალექსანდრე ბატონიშვილზე. ერთი ასეთი თქმულება საკუთარის ხელით დაგვიწერა სახელოვანმა პოეტმა ვაჟა-ფშაველამ. ეს თქმულება შეეხება ალექსანდრეს რომანიულ შემთხვევას დაღესტანში და პირდაპირ ამტკიცებს, რომ ალექსანდრეს დაღესტანში შვილი ეყოლაო. აი თვით ეს ფშაური თქმულებაც: „პირველად, როცა ბატონიშვილი ალექსანდრე გაიქცა და მტრობა გამოუცხადა რუსის მთავრობას, მიჰმართა მთას. ბატონიშვილს ყველგან უნდოდა მომხრეები ეშოვნა. ამ მიზნის მისაღწევად დაღესტანშიც-კი იმყოფებოდა. ფშავისა ხომ ხშირი სტუმარი იყო, სადაც ნათლიდედები და ნათლიმამები გაიჩინა. უამისოდაც ზოგიერთ ოჯახებთან ძლიერ დაახლოებული იყო ბატონიშვილი. ერთი ამისთანა ოჯახი სასა ქისტაურისა იყო, სადაც ერთხელ ქეიფობის დროს ბატონიშვილმა წარმოსთქვა თურმე: „ეჰ, მე იქნება ამოდენა ტანტალში უძეოდ მოვკვდე, თუმცა კი არც უძეო ვარ, მხოლოდ ის მენანება, რომ ჩემი თესლი დაღესტანში დარჩაო."

ამ გვარი ხასიათის თქმულება სხვაც ბევრი დარჩენილა მთაში. ქართველ მთიელებში დღესაც ამბობენ, რომ დედა რომ გაუწყრებოდა შამილს, მობეზრებული მისის ცელქობით და ანცობით, წაუყვედრებდა ხოლმე: არ დაცხრები, შე გიაური და გურჯის შვილოვო!

იმის გამოსარკვევად თუ ვისი შვილი იყო მთის არწივი შამილ, უბრალო ავარელ ლეკისა, თუ ალექსანდრე ბატონიშვილისა, საინტერესო მასალას გვაძლევს ერთი ხელთნაწერი, რომელიც გადმოგვცა კაპიტანმა ს. მ. ახათიანმა. სამწუხაროდ არა სჩანს — ვის შეუდგენია ეს ხელთნაწერი, ან როდისაა დაწერილი. არც კაპიტან ახათიანს ახსოვს, თუ როგორ ჩაუვარდა ხელში ეს საყურადღებო დოკუმენტი.

დოკუმენტი შეიცავს ექვს ფურცელს. პირველი ფურცელი ცარიელია, ზედ არაფერი სწერია, ხოლო მარტო მეორე ფურცლის პირველი კაბადონია სვსე ნაწერით. დანარჩენი ფურცელნი პირველისავით ცარიელია. ფურცელში ჩადებული ყოფილა რაღაც მცენარის დიდი ფოთოლი და მისი კვალი ატყვია ცარიელ ფურცლებს. უკანასკნელ ფურცლებზე რუსულად და ერთი სიტყვა ქართულად აწერია: «В Закаталском округе в с: Гюлюке есть Кошшь-гора—на ней церковь, а на большой горе есть дворец Тамары; у подножья горы есть равнина Джори — ჯორი».

კაპიტანი ახათიანის სიტყვებით, ეს საყურადღებო ხელთნაწერი აღმოჩენილა შემთხვევით „ქართლის-ცხოვრებაში".

*) იხ. ა. ფრონელის მონოგრაფია „ამბოხება კახეთისა". გვ. 66-67.

აი თვით სიტყვა-სიტყვით თვით ხელთნაწერი. „გაგონილი კიზლიარსა და მოზდოკში სომხებიდამ და დალისტანში კი ზოგიერთი მოხუცებული ლეკებიდამ.

როდესაც ალექსანდრე ბატონიშვილი ძე ერეკლე მეფე მეორისა იყო დევნილი რუსთაგან, მაშინ იგი, გადაიხვეწა დალისტანში, ავარში, სოფელ სოკოლის*, რომელიც არის ს. გიმრის მახლობლათ. ამ გაწდევნილობის ჟამში ალექსანდრემ, როგორც უცოლო ახაკოვანმა ვაჟკაცმა შეიყვარა რომელიმე ლეკის სამუალებით ერთი ლეკის სახელად დენგაუს ცოლი, ქალი ლამაზი. და მათ შეერთებიდგან დაიბადა შამილი, რომელიც განითქვა შემდეგ დალისტნის იმამათ და შეიქმნა ძლიერ განთქმული რუსების მტერი. თვით დენგაუ იყო კაცი ძრიელ ლალი და სუსტი ჰკუის. ხელობა იმისი იყო მხოლოდ წყლის ზიდვა საკიდრით მდინარედგან და არა მეტი ხელობა მას არ შეეძლო. მცხოვრები იყო ს. გიმრის. და როგორც ამბობენ არ შესძლებოდა მას სისუსტისა გამო შესრულება ცოლ-ქმრობის წესისა.

P. S. ამასვე ამტკიცებს თავის წერილებში თანამედროვე შამილისა დოკტორი კობახიძე, რომელიც იყო მოზდოკელი ქართველი, სიმავრი თავად შაქრო დ. ზერზეულიძისა."

მოზდოკის და ყიზლარის სომხობას კარგად ეცოდინებოდა შამილის შთამომავლობა, რადგან შამილ მათი სიძე იყო. რაღა თქმა უნდა, რომ იმისთანა დიდებულ სიძის ამბავს, როგორიც იყო შამილ, დაწვრილებით გამოიძიებდნენ და გამოიკვლევდნენ სომხები. ულუხანოვის ქალი ანნა, როგორც ამ ისტორიულ ამბავში იყო მოხსენებული, ახლა საყვარელი მეუღლე შამილისა და რა საკვირველია, რომ საყვარელ მეუღლეს შეეტყო შთამომავლობა თავის ქმრისა. ანნას [illegible] დევ შამილის [illegible] ლო ძრიელ [illegible] ყიზლარისა და მოზდოკის სომხობაში.

ზემოდ მოყვანილ დოკუმენტში დასახელებული დოკტორი კობახიძე, მოზდოკელი ქართველი, რომელსაც ცალკე წერილები ჰქონია შამილის შესახებ, თავის დროს ცნობილი კაცი ყოფილა. არა გვგონია, რომ ეს განათლებული ადამიანი ბავშვურად მოჰპყრობოდა შამილის ჩამომავლობის ამბავს და ზღაპარი სინამდვილედ ელიარებინა. ურიგოს არ იზამენ, თუ მისი მემკვიდრენი და შთამომავალნი გამოაქვეყნებენ მის წერილებს, ან და გადასცემენ საქართველოს ისტორიის და ეთნოგრაფის საზოგადოებას, სადაც შენახული იქნება ბ-ნ ახათიანის დოკუმენტიც.

გადაჭრით და კატეგორიულად ძნელია იმის დამტკიცება, რომ შამილ შვილია ბატონიშვილ ალექსანდრესი, მაგრამ თანახმად ყველა იმისა, რაც ამ ისტორიულ ამბავში ნათქვამია, ძრიელი საბუთი გვეძლევა ვსთქვათ, რომ იმამი დაღისტნისა, მთის არწივი შამილ იყო შვილი მამით ბატონიშვილ ალექსანდრესი. თვით სახის მეტყველება ორთავესი, შამილისა და ალექსანდრესი, მეტის-მეტად წააგავს ერთმანეთს. მაღალი, ახოვანი ტანი, შეჭმუხნული შუბლი, დარდი და ვარამი, რომელიც საოცრადაა აღბეჭდილი ორთავეს სახეზე ამტკიცებს მათს სიახლოვეს და ნათესაობას. ტუჩ მოკუმულ სახეს ბატონიშვილისას რომ აკვირდები, გფიქრობ რომ ამ ადამიანს ერთი ბედნიერი დღე არ უნახავს თავის სანგრძლივ სიცოცხლეში. ასეთსავე შთაბეჭდილებას ახდენს დაღვრემილი და დარდიანი სახე შამილისა.

დაწვრილებით შესწავლა და გამოძიება საშშობლო ისტორიისა და დაღისტნისა უეჭველია სავსე ნათელს მოჰფენს შამილის ჩამომავლობის საიდუმლოებას.

ტფილისი 1914 წ.

*) ეხლანდელ ავარიის ოლქში არის სოფელი სახელად გოზოლოკოლო, სადაც ითვლება 40 კომლი ავარელი. ცხადია, რომ ეს სოფელია დოკუმენტში მოხსენებული სოკოლო.



შამილი


ქართველი კაცი.
ქართული ოჯახი
„უსაქართველოდ"?!

გამოიწერეთ გაზეთი
„საქართველო"



ფასი 50 კაპ.
ინდექსი 66447

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჯავახეთის ქ. №17. ტელ.: 29-26-81.
იბეჭდება საქართველოს კპ ცკ გამომცემლობაში

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი